ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის




# წლის სამოქმედო გეგმის შესრულების

# ანგარიში

2026 წელი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის

# 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2026 წელი

# სარჩევი


7 მოკლე შეჯამება

13 შესავალი

15 ზოგადი პროგრესი

19 დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში

80 გამოწვევები და რეკომენდაციები

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციას და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2025 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლობას უხდის საარჩევნო ადმინის-ტრაციისა და სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მო-ხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

# მისია, ხედვა, ღირებულებები

**საარჩევნო ადმინისტრაციის მისია** – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადება და ჩატარება. აგრეთვე, დემოკრატიული საარჩევნო პროცესების განვითარება და განმტკიცება, სადაც დაცული და გარანტირებულია აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების თავისუფალი და შეუზღუდავი რეალიზაცია.

**საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული ხედვა** – ჩვენ ვატარებთ თავისუფალ, გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს, რომელსაც ენდობიან საქართველოს მოქალაქეები.

მისიისა და სტრატეგიული ხედვის წარმატებით განხორციელების დროს საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

**გამჭვირვალობა**
საქმიანობის ღიაობა, საჯაროობა და ინფორმაციის მისაწვდომობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე

**პროფესიონალიზმი**
კომპეტენტური და პასუხისმგებლიანი საარჩევნო მოხელეების ძალისხმევით საარჩევნო პროცესის სანდოდ და სამართლიანად წარმართვა

**ინკლუზიურობა**
ყველასათვის თანაბრად მისაწვდომი გარემოს შექმნა და საქმიანობაში ნაკლებად ჩართული ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება

**ინოვაციურობა**
სიახლეებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვა საარჩევნო პროცესებში

**თანამშრომლობა და ჩართულობა**
პარტნიორული ურთიერთობების განვითარება საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან

**დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა**
კანონზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება

# მოკლე შეჯამება



წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2026 წლების სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებულ ანგარიშს.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესში ინკლუზიურობის ხელშეწყობას და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი სერვისების გაუმჯობესებას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ საქმიანობის ყველა ეტაპზე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამის უწყებებთან კოორდინაციითა და ჩართულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე იმოქმედა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიით განსაზღვრულია 3 პრიორიტეტი, 6 მიზანი და 13 ამოცანა, რომელთა შესასრულებლად 2025 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო 50 აქტივობა.

საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა - 46 აქტივობა, ორი აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ორი აქტივობა გაუქმდა. მთლიანობაში, აქტივობების შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 94 პროცენტი.

აქტივობების განხორციელებამ ამოცანებთან მიმართებაში მოგვცა შემდეგი შედეგები სტრატეგიული მიზნების მიხედვით:

## სტრატეგიული პრიორიტეტი: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება

### მიზანი 1. საზოგადოების ინფორმირება და განათლება

2025 წელს საზოგადოებასთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაცია რეგულარულად ახდენდა საზოგადოებისა და ჩართული მხარეების ინფორმირებას საარჩევნო სიახლეების შესახებ. 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრები ჩატარდა პოლიტიკურ პარტიებთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიაორგანიზაციებთან, ასევე ახალგაზრდებთან, უსინათლო და ყრუ პირებთან. ამასთან, საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, საარჩევნო ადმინისტრაცია ინტენსიურად იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს. 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ცესკომ განახორციელა შექმნილი სასწავლოსაინფორმაციო ინტერნეტ თამაშის „ნახე როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში" მოდიფიცირება. შეხვედრები ტარდებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საზოგადოებრივი თავშეყრის

ადგილებში, ასევე, 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ცესკომ განახორციელა შექმნილი სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის „ნახე როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში" მოდიფიცირება.

მომზადდა და ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა საინფორმაციო სივრცის კვლევის 4 (ოთხი) ანგარიში. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოებაში ნდობის განმტკიცების ხელშეწყობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ახალი ვებპლატფორმა „დეზინფორმაციის რეესტრი" შექმნა.

საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საჯარო სკოლებში პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი", საინფორმაციო პროექტი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი", საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამა „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო", საავტორო პროგრამა "საარჩევნო სამართალი". ამასთანავე, ჩატარდა მასშტაბური სასწავლო-საინფორმაციო პროექტი „არჩევნების უსაფრთხოება", პროექტში მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ცესკოს ვებგვერდზე შეიქმნა საინფორმაციო ბანერი „ელექტრონული არჩევნები 2025", სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ ენახათ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია თუ დოკუმენტი და ბოლოს, საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა პროექტი „არჩევნები და ელექტრონული ტექნოლოგიები", რომელიც ასევე, ითვალისწინებდა სასწავლო პროგრამის „ცესკოს ახალგაზრდული ბანაკი" განხორციელებას.

## მიზანი 2. სამართალწარმოების პროცესის განვითარება

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების ფარგლებში საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე განახლდა და ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა სახელმძღვანელოები. 2025 წელს განხორციელდა 2024 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების სამართლებრივი ანალიზი. ასევე, განხორციელდა 2025 წელს გამოქვეყნებული დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ცესკომ, საარჩევნო პროცედურების დაზუსტების ან/და დახვეწის მიზნით, მიიღო 25 დადგენილება.

სამართალწარმოების პროცესის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებსა და წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი, ამასთანავე საარჩევნო დავებთან დაკავშირებით ონლაინ პლატფორმების ეფექტურად გამოყენების მიზნით ჩატარდა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ინსტიტუციური გაძლიერება

### მიზანი 3. მართვის ეფექტიანობის ზრდა

მართვის ხარისხის (ISO) სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2025 წელს ჩატარდა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო აუდიტი. ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის ფარგლებში ჩატარებული აუდიტი ორ ეტაპად განხორციელდა. აუდიტის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიზნები, ამოცანები, აქტივობები და პროექტები, შეთავაზებული სერვისები და საქმიანობის მონიტორინგი შეესაბამება ხარისხის მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილ ყველა სტანდარტს. ასევე აღსანიშნავია, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს, წელს პირველად, მიენიჭა ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 სერტიფიკატი.

2025 წელს, ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების მმართველობითი უნარების გაძლიერების მიზნით, ასევე, კომისიის წევრების საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესის გაუმჯობესებისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა  სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც დაესწრო საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები.

2025 წელს საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონულ პროგრამაში (EMS) დაემატა ადამიანური რესურსების მართვის მოდული. ამავე წელს ტექნიკური მხარდაჭერის მოთხოვნის მიღების, შესრულების და IT პროექტების მართვის გაუმჯობესების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა, დანერგა მართვის მოდელის ახალი ინსტრუმენტი - ჯირა სერვის მენეჯმენტი (Jira service management). ამასთანავე, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარატმენტში, შესაბამის ადამიანურ რესურსთან ჩატარდა სამუშაოები მართვის ახალი მეთოდის - Scrum Agile დანერგვის მიზნით.

### მიზანი 4. საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება

2025 წელს საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისა და წევრებისთვის, შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები და შეიქმნა სატრენინგო მოდულები. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა, მათთვის ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების წესის გაცნობა და მათი გადამზადება. 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის სწავლების ცენტრმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის განახორციელა მასშტაბური საინფორმაციო კურსი „საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები", პროგრამა ჰიბრიდული ფორმატით ჩატარდა. 2025 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, სწავლების ცენტრის მიერ განხორციელდა პროექტი „ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება". 2025 წელს სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგები კომბინირებული სწავლების მეთოდოლოგიით განხორციელდა. ასევე, ჩატარდა საუბნო

საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, სასწავლო პროექტის მონაწილეებმა სწავლების შედეგების შეფასება მოახდინეს ჩატარებული გამოკითხვის მეშვეობით. ამასთანავე ცესკომ და სწავლების ცენტრმა განაახლა საჯარო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო-სასწავლო კურსი - „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი - საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“, ასევე განხორციელდა სასწავლო კურსი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“.

საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიცირებულ მოხელეთა რესურსის გასაზრდელად 2025 წელს ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და ახალი საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასერტიფიკატო გამოცდები. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საგამოცდო ტესტები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

საერთო ჯამში 2025 წელს გაიცა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის 381, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის 2 057 და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის 1 603 სერტიფიკატი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ტექნოლოგიური განვითარება

### მიზანი 5. საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან

2023 და 2024 წლებში ჩატარებული არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებით 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის განისაზღვრა ლოგისტიკის პროცესის მიზნები, ამოცანები, მართვის სტრუქტურა, აუცილებელი მატერიალური თუ ადამიანური რესურსები. ჩამოყალიბდა ლოგისტიკის პროცესის მართვის ცენტრალიზებული სისტემა. ასევე, წინასწარ განისაზღვრა ინვენტარის, მასალებისა და ელექტრონული მოწყობილობების ცესკოს საწყობიდან საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის მასალების მიწოდების ოთხი ეტაპის ნაცვლად განისაზღვრა ექვსი ეტაპი, რომელსაც სრულად უნდა დაეფარა არჩევნების საჭიროებები. 2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელებული ლოგისტიკური პროცესის შეფასება/ანალიზის მიზნით ჩატარდა აღნიშნულ პროცესში ჩართული პირების, სსკ-ს საწყობებზე პასუხისმგებელი წევრების, თავმჯდომარეებისა და საწყობის მენეჯერების გამოკითხვა და ცენტრალურ დონეზე ლოგისტიკის პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ 2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნულზე დაყრდნობით კი შემუშავდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის პროცესის ანგარიში.

## მიზანი 6. ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში

საერთაშორისო კომპანიასთან - „Smartmatic“ გაფორმებული კონსოლიდირებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2023-2025 წლების განმავლობაში მოწოდებული იქნა 4 948 ცალი ხმის მთვლელი აპარატი და 7 571 ცალი ვერიფიკაციის აპარატი. საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვის მიზნით, ცესკომ დამატებით შეისყიდა ელექტრონული მოწყობილებები და სხვა საჭირო მასალა. კერძოდ, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი 450, ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატი 450 და 50 პლანშეტური კომპიუტერი. შესაბამისად 3 061 საარჩევნო უბანზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 438 116 ამომრჩეველმა.

დეტალურად გაიწერა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების დროს EMS სისტემაში გამოვლენილი ხარვეზები და დაემატა ან მოდიფიცირდა ახალი და საჭირო სხვადასხვა ფუნქციონალი. 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის ინფრასტრუქტურის გამოყოფასთან დაკავშირებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, შესაბამის უწყებებთან.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა 3051 საარჩევნო უბანი, დამატებით 10 უბანი პენიტენციურ დაწესებულებებში, აქედან განახლებული ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნის რაოდენობა იყო 300 უბნამდე. აღნიშნულის ფარგლებში, ცესკოს ვებგვერდზე ბანერში "საარჩევნო რუკა" განთავსდა საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ადაპტირებული საარჩევნო უნების შესახებ დასურათებულ ფორმატში.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1 301 ადაპტირებული საარჩევნო უბანი, მათ შორის 959 პანდუსით და 342 მარტივად ადაპტირებული.

# შესავალი



2023 წელს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, რომლითაც განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს 2026 წლისთვის, ეტაპობრივად, არსებითი ხელშესახები შედეგების მიღწევას.

ზემოხსენებული სტრატეგიის მიხედვით შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმა. საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობის დაგეგმვას, ანგარიშგებასა და მონიტორინგს ახორციელებს დამტკიცებული წესის საფუძველზე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2026 წლების სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებულ ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში შემუშავდა ცესკოს სტრუქტურული ერთეულების, სწავლების ცენტრის, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კვარტალური სტატუსანგარიშების საფუძველზე.

ანგარიში მოიცავს 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშს თან ერთვის განხორციელებული აქტივობების აღწერა ცხრილის სახით (დანართი 1).

წლიური ანგარიშის მომზადების მიზანს წარმოადგენს 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებით მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების გამოვლენა შემდეგი სამი სტრატეგიული პრიორიტეტის მიხედვით:

- საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება;
- ინსტიტუციური გაძლიერება;
- ტექნოლოგიური განვითარება.

წლიური ანგარიში არ მოიცავს სრულ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების შესახებ. არჩევნების ანგარიშის ნახვა შესაძლებელია ცესკოს ვებგვერდზე.[1]

ანგარიშის შედგენის დროს შეფასდა ამოცანებისა და მათი შედეგების ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა, ამასთან, ანგარიში მოიცავს ინფორმაციას აქტივობების განხორციელების შესახებ.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიაში აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრულია 6 მიზანი და შესაბამისი 13 ამოცანა, რომელთა შედეგების მიღწევის მიზნით 2025 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყო 50 აქტივობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში, გარდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა, განხორციელდა არაერთი სხვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი აქტივობა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 94 პროცენტს და კლასიფიცირდება სამი კატეგორიის ფარგლებში, კერძოდ:

- განხორციელდა – 46 აქტივობა;
- განხორციელდა ნაწილობრივ – 2 აქტივობა;
- გაუქმდა - 2 აქტივობა.

1. https://cesko.ge/ge/home

# ზოგადი პროგრესი



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 50 აქტივობიდან სრულად განხორციელდა - 46 აქტივობა, ორი აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ორი აქტივობა გაუქმდა. მთლიანობაში, აქტივობების შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 94 პროცენტი.

ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (1).

დიაგრამა 1. აქტივობების შესრულების სტატუსი და რაოდენობა




განხორციელებული და განხორციელების პროცესში მყოფი აქტივობების შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები შესრულდა დადგენილ ვადებში და განსაზღვრული მოცულობით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. აქტივობების განხორციელების დონე და რაოდენობა, მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების შესრულების ჭრილში, წარმოდგენილია დიაგრამაზე (2).

დიაგრამა 2. აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში




სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 50 აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ცესკოს აპარატის შვიდი სტრუქტურული ერთეული, სწავლების ცენტრი და ორი სამუშაო ჯგუფი, კერძოდ:

- საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი;
- საფინანსო დეპარტამენტი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი;
- ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი);
- სწავლების ცენტრი.

ინფორმაცია ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიერ აქტივობების შესრულების სტატუსების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე (3).

დიაგრამა 3. აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიხედვით



# დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში



## სტრატეგიული პრიორიტეტი: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საზოგადოების ინფორმირება და განათლება;
- სამართალწარმოების პროცესის განვითარება.

### მიზანი 1. საზოგადოების ინფორმირება და განათლება

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის 5 ინდიკატორი | 24 აქტივობა | აქტივობის შესრულების 59 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:
**1.1** საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;
**1.2** ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ;
**1.3** ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება.

დაგეგმილი აქტივობებიდან განხორციელდა 20 აქტივობა,ნაწილობრივ შესრულდა 2 აქტივობა, გაუქმდა 2 აქტივობა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (4).

დიაგრამა 4. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



**ამოცანის 1.1 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღე-ბულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 1.1. საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

**1.1.1.** თანამშრომლობის ფორმატების შეფასება ჩართული მხარეების (პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მო-მუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები) მიერ

2025 წლის 17 აგვისტოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ცესკოს აპარატის საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მათ იმ სიახლეების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, რომელიც ადმინისტრაციამ 2025 წლის არჩევნებისთვის დანერგა - 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის, პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა. შეხვედრაში მონაწილეობდა 9 პარტიის 14 წარმომადგენელი.

2025 წლის 25 სექტემბერს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ორგანიზებით გაი-მართა საინფორმაციო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის რე-გისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგა-ნიზაციების წარმომადგენლებთან. ღონისძიების ფარგლებში ცესკოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილემ და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილეს ჩართული მხარეების ინფორმირების მნიშვნელობაზე, ისაუბრეს მათ როლზე და საარჩევნო პროცესში პროფესიონალიზმზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობაზე, სადაც ყველა ჩართული მხარე ინფორმირებულია საარჩევნო საკითხებზე და მზად არის საკუთარი პასუხისმგებლობის ობიექტურად შესასრულებლად, რაც დემოკრატიული პროცესის გამართულად განხორციელების წინაპირობაა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა აქტიური დისკუსია, მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი პასუხები მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაცია ჩართულ მხარეებს აწვდის გადამოწმებულ ინფორმაციას, რაც თავის მხრივ ქმნის ღია და ანგარიშვალდებულ გარემოს და ზრდის მათ ინფორმირებულობას, რაც ერთობლიობაში აძლიერებს პროფესიონალიზმზე დაფუძნებულ თანამშრომლობას და უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მონაწილისთვის. შეხვედრაში მონაწილეობა არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების 41-მა წარმომადგენელმა მიიღო.

2025 წლის 2 მაისს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის

გაიმართა შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია - მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების შესახებ. ცესკოს თავმჯდომარემ და თავმჯდომარის მოადგილემ დეტალურად ისაუბრეს საარჩევნო ადმინისტრაციაში განხორციელებული აქტივობებისა და სიახლეების შესახებ. ამასთანავე, შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ცესკოს მიერ მიღებულ ახალ რეგულაციებსა და გადაწყვეტილებებს. შეხვედრის ბოლოს გაიმართა მოდიფიცირებული დიზაინის საარჩევნო დოკუმენტაციის დემონსტრაცია. შეხვედრას დაესწრო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის 20 წარმომადგენელი. ასევე, ცესკოს აპარატის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2025 წლის 17 სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს შეხვდა. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან შეხვედრა ცხადყოფს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის პრიორიტეტია არა მხოლოდ შიდა პროცესების ეფექტიანად წარმართვა, არამედ ღია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებული თანამშრომლობა. ეს ასევე ადასტურებს ადმინისტრაციის მზადყოფნას, საარჩევნო პროცესები წარმართოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, ღია და ინკლუზიური ფორმატით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების საშუალებაა, არამედ უზრუნველყოფს დიალოგს, უკუკავშირის მიღებასა და თანამშრომლობის გაღრმავებას. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა აქტიური დისკუსია. დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მათთვის საინტერესო თემებზე პასუხები ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს თავმჯდომარის მოადგილისგან მიიღეს. ცესკოს თავმჯდომარემ დეტალურად მიმოიხილა მიმდინარე საარჩევნო საკითხები - 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესი, 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები, რეგისტრაციის პროცესი, სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციები, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება და მათი გადამზადება, ამომრჩეველთა ინფორმირება და ამომრჩევლებისთვის და პარტიებისთვის შეთავაზებული სიახლეები.

2025 წლის 5-6 ივნისის პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ადმინისტრაციების მეთორმეტე საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციაში 22 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 100-მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მთავარ თემას წარმოადგენდა **„საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და დეზინფორმაციის გავლენა საარჩევნო პროცესზე“.** კონფერენციის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე იმსჯელეს, როგორიცაა:

- საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება - მსოფლიოში არსებული პრაქტიკა და მიღებული გამოცდილება;

- არჩევნების მოდერნიზება და ელექტრონული სერვისების დანერგვა;
- დეზინფორმაციული კამპანიის წარმოება და მისი პოტენციური გავლენა არჩევნების შედეგებზე, ამ კუთხით არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები;
- დეზინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს და საერთაშორისო საარჩევნო ადმინისტრაციების გამოცდილება;
- საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით საქართველოს გამოცდილება, გამოწვევები და სამომავლო გეგმები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონული სერვისები და არჩევნების მართვის პროგრამა;
- საქართველოში 2024 წლის არჩევნებზე გამოყენებული საარჩევნო ტექნოლოგიების გაცნობა.

2025 წლის 13-14 სექტემბერს საარჩევნო საკითხების შესახებ მედიის წარმომადგენლე-ბის ინფორმირების მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სწავლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა სატელევიზიო და ონლაინმედიის წარმო-მადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მედიის 40-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო. ორდღიანი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების პროცესი მიმოიხილეს. დე-ტალურად ისაუბრეს 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებთან დაკავ-შირებულ საკითხებზე და მედიის უფლებრივ მდგომარეობასა და როლზე არჩევნების გაშუქების პროცესში.

2025 წლის 29-31 აგვისტოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სწავლების ცენტრის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემები იყო: კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექ-ნოლოგიების დანერგვა და გამოყენების პროცესის მიმოხილვა; მიმდინარე წლის მუნი-ციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები; არჩევნებში მედიის როლი და საერთაშორისო სტან-დარტები არჩევნების ორგანიზების პროცესში. შეხვედრაში მონაწილეობა მედიის 30-მდე წარმომადგენელმა მიიღო. ღონისძიების ფარგლებში ცესკოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ჟურნალისტების არსებით როლზე საარჩევნო პროცესებში. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირიც ესწრებოდა. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში და იმ პროცესების შესახებ ისაუბრეს, რომელიც არჩევნებისთვის მზადების პროცესში და უშუალოდ კენჭისყრის დღისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში ხორციელდება.

საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარების საჭიროება არ დამდგარა.

ჩართული მხარეების (პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები) დაინტერესების ნაკლებობით, თანამშრომლობისთვის შეთავაზებული ფორმატების მიმართ, გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

**ამოცანის 1.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 1.2. ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
**1.2.1** ინფორმირებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა (მათ შორის შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის)
**1.2.2** საინფორმაციო ღონისძიებების რაოდენობა (მათ შორის მაღალმთიანი რეგიონების, შშმ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის)

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ცესკომ გამოიყენა 16 მექანიზმი, კერძოდ: ცესკოს ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ცესკოს აპლიკაცია, ცესკოს ბრიფინგები, სარეკლამო/საინფორმაციო რგოლები, ვიდეოკასტები, საინფორმაციო პოსტერი, საინფორმაციო ფლაერი, ცესკოს კონტაქტ-ჰაბი, შეხვედრები ჩართულ მხარეებთან, ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია, პოპულარული აპლიკაციების და საინფორმაციო სააგენტოების გვერდები.

სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებზე განთავსდა და გავრცელდა 188 სიახლე, მათ შორის  განცხადებები. ჩატარდა 14 ბრიფინგი. ამასთანავე, ვრცელდებოდა ვიდეომასალა საარჩევნო პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ.

ინფორმირების ინტენსიური კამპანია ხორციელდებოდა ცესკოს ოფიციალური გვერდების მეშვეობით სოციალურ ქსელებში. სხვადასხვა სოციალურ ქსელში ცესკოს ოფიციალური გვერდებისთვის (FACEBOOK, INSTAGRAM, X, TIKTOK, YOUTUBE) მზადდებოდა და ვრცელდებოდა ე.წ. „შორთები"/„რილები", „ქარდები" მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. მომზადდა 54 რილი. მზადდებოდა და ვრცელდებოდა სხვადასხვა ტიპის ვიდეო/ფოტო მასალა და შესაბამის ტექსტობრივ ინფორმაციასთან ერთად ვრცელდებოდა როგორც სოციალური ქსელის, ისე ვებგვერდის მეშვეობით. სოციალური ქსელების საშუალებით პირდაპირ ეთერში გადაიცა ცესკოს ყველა სხდომა.

ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საარჩევნო საკითხებზე და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ითარგმნებოდა და ოპერატიულად მიეწოდებოდა საერთაშორისო საზოგადოებას.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მომზადდა და როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ სატელევიზიო და რადიო ეთერში განთავსდა საინფორმაციო ვიდეო და აუდიო

რგოლები. ვიდეორგოლები ასევე განთავსდა იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში და კინოთეატრებში. მომზადდა 18 საინფორმაციო რგოლი გასამართი არჩევნების, ხმის მიცემის პროცედურების, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების, ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების და სხვა მნიშვნელოვანი საარჩევნო საკითხების შესახებ. ვიდეორგოლები უზრუნველყოფილი იყო ქართული ჟესტური ენის თარგმანით, ყველა მათგანი ითარგმნა და გავრცელდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ცესკოს ვებგვერდზე შეიქმნა საინფორმაციო ბანერი **„ელექტრონული არჩევნები 2025“,** სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ ენახათ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია თუ დოკუმენტი.

ასევე, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მომზადდა და საარჩევნო უბნებზე განთავსდა 6 სახის საინფორმაციო პოსტერი:

- საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი;
- ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდა;
- პოსტერი იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ჩატარდა;
- ფოტოვიდეოგადაღების წესი საარჩევნო უბანზე;
- ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის;
- ინფორმაცია დამკვირვებლებისთვის.

2 ტიპის საინფორმაციო ბროშურა, რომელიც ამომრჩევლებს საარჩევნო ბარათთან ერთად დაურიგდათ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - ხმის მიცემის პროცედურების, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების შესახებ. ასევე, ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ახალგაზრდა ამომრჩევლებს, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ არჩევნებში. ყველა მათგანი მომზადდა როგორც ქართულ, ისე ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული).

საინფორმაციო მასალა ხელმისაწვდომი იყო ყრუ და უსინათლო პირებისთვის მათზე დატანილი QR კოდის მეშვეობით. ამასთანავე, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის მომზადდა და დაიბეჭდა საარჩევნო კალენდარი, სადაც ყველა მნიშვნელოვანი საარჩევნო თარიღი იყო აღნიშნული. ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების მიზნით გარდა ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის, უზრუნველყოფილი იყო ამომრჩევლებისთვის სერვისის შეთავაზება ე.წ. სწრაფი გადახდის (Pay Box) აპარატების მეშვეობით.

ცესკოს თავმჯდომარემ, ხელმძღვანელმა პირებმა და პრესსპიკერმა მონაწილეობა მიიღეს 24 სატელევიზიო და რადიოგადაცემაში. სხვადასხვა რეგიონული მედიასაშუალების გადაცემებში აქტიურად მონაწილეობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები.

ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის ოფიციალურ გვერდებზე სოციალურ ქსელებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

მნიშვნელოვანი საქმიანობა იქნა განხორციელებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების ინფორმირების მიმართულებით. უზრუნველყოფილ იქნა საინფორმაციო მასალის მომზადება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მომზადდა და დაიბეჭდა ცესკოს თავმჯდომარის ინტერვიუ და ხმის მიცემის წესის შესახებ ინფორმაცია აზერბაიჯანულ და სომხურენოვან გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“.

საარჩევნო პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სოციალური ქსელების მეშვეობით ლაივ რეჟიმში განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრობის კანდიდატებთან გასაუბრების, საოპერაციო-სასაწყობე სივრცეში მიმდინარე სამუშაო პროცესის და შედეგების შეჯამების პროცესის ტრანსლაცია.

ცესკოს კონტაქტჰაბი (032 2 510051) ინტენსიურ რეჟიმში უზრუნველყოფდა ამომრჩევლებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებას. ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო ინფორმაციის მიღება საარჩევნო საკითხებზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე და ასევე ვიდეოზარის ფორმატში სურდოთარგმანის გამოყენებით. კონტაქტჰაბში შემოვიდა - 6 591 ზარი, ონლაინ ჩათში 2 237 შეტყობინება, გაიგზავნა - 905 მოკლე ტექსტური შეტყობინება და განხორციელდა - 479 ზარი. შემოსული კითხვები ძირითადად ეხებოდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმებასა და კენჭისყრის დღის პროცედურების განმარტებას.

ჩართული მხარეების ინფორმირების მიზნით, ორგანიზება გაეწია სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებს, მათ შორის ახალგაზრდებთან როგორც ცესკოში, ისე სხვადასხვა რეგიონში. 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის უზრუნველყოფილი იქნა 21 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების დაკვირვების პროცესის ორგანიზება როგორც ლოგისტიკური ისე ინფორმაციული თვალსაზრისით.

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მედიის მონიტორინგი, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული ტელევიზიების, საინფორმაციო სააგენტოების და სოციალური ქსელების. დამუშავდა 1 637 ინფორმაცია, მათ შორის უწყების მიმართ გავრცელდა 356 დეზინფორმაცია, 338 მანიპულაცია და იმიჯის შემლახავი 45 ინფორმაცია. აღნიშნულის შედეგად გამოვლენილ დეზინფორმაციებზე, ასევე ინფორმაციით მანიპულაციის ფაქტებზე, საარჩევნო ადმინისტრაციას ჰქონდა სწრაფი რეაგირება და უზრუნველყოფდა საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას. ამასთანავე, მომზადდა და ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა საინფორმაციო სივრცის კვლევის 4 ანგარიში.

საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოებაში ნდობის განმტკიცების ხელშეწყობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ახალი ვებპლატფორმა **„დეზინფორმაციის რეესტრი"** შექმნა. ახალი ვებგვერდი[2] პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც უკავშირდება დეზინფორმაციის მიზანმიმართულ გავრცელებას და უარყოფით გავლენას ახდენს საარჩევნო გარემოზე. რეესტრში თავმოყრილია ყველა ის დეზინფორმაცია, რომლის გავრცელებაც ემსახურება საზოგადოებაში არასწორი აღქმების გაჩენას და აზიანებს საარჩევნო პროცესს. აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაციასთან ერთად პლატფორმაზე ასახულია შესაბამისი, გადამოწმებული და ფაქტებზე დამყარებული ზუსტი ინფორმაცია. რეესტრის საშუალებით ცესკო დაინტერესებულ პირებს აწვდის გადამოწმებულ და ზუსტ ინფორმაციას საარჩევნო პროცესებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით. „დეზინფორმაციის რეესტრი" იძლევა შესაძლებლობას, რეესტრში განთავსებულ ინფორმაციას მომხმარებელი გაეცნოს დინამიკაში, გაფილტროს გამოქვეყნებული მასალა თემების, წლებისა თუ არჩევნების მიხედვით. ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია 2025 წელის 18 დეკემბერს გაიმართა ღონისძიებას პარტნიორი სახელმწიფო და კერძო უწყებების, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ხმის მიცემის პროცედურების პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საარჩევნო **სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება.** ცესკოს, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და საქართველოს ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოების ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, სხვადასხვა რეგიონში 4 შეხვედრა გაიმართა, რაც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას. შეხვედრების ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესის, ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობის შესახებ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა შეხვედრების მიხედვით იხილეთ ცხრილში (1).

ცხრილი 1. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა შეხვედრების მიხედვით

| თარიღი | ქალაქი | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 25 ივნისი | ხაშური | 110 |
| 28 ივნისი | ქუთაისი | 180 |
| 7 ივლისი | რუსთავი | 100 |
| 9 ივლისი | ბათუმი | 120 |

2. დეზინფორმაციის რეესტრი იხილეთ ბმულზე: https://disinfo.cec.gov.ge/

2025 წლის 13 სექტემბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ, ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განახორციელა მასშტაბური პროექტი – იმიტირებული კენჭისყრა. იმიტირებული კენჭისყრის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა როგორც პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, არჩევნებისადმი მზადყოფნის შემოწმება, საარჩევნო უბნებზე ტექნოლოგიური საშუალებების და ლოგისტიკური საკითხების რეალურ გარემოში პრაქტიკული შემოწმება, ასევე, არჩევნების დღისთვის მაღალი მზაობის მიღწევა.

იმიტირებული კენჭისყრა 207 საარჩევნო უბანზე ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო უბნების 1 500-მდე წევრმა და ტექნიკურმა პერსონალმა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის იმიტირებული კენჭისყრა გაიმართა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ათი საარჩევნო ოლქის 22 საარჩევნო უბანზე. მათთვის გასაგებ ენებზე, ითარგმნა საარჩევნო ბიულეტენი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (2).

ცხრილი 2. იმიტირებებული კენჭისყრის ჩატარების ადგილები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული საარჩევნო ოლქების მიხედვით

| საარჩევნო ოლქი | საარჩევნო უბნების რაოდენობა | ენა |
|---|---|---|
| ლაგოდეხი | 1 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| თელავი | 1 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| გარდაბანი | 3 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| მარნეული | 4 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| ბოლნისი | 2 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| დმანისი | 3 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| წალკა | 1 | ქართულ-სომხური |
| ახალციხე | 1 | ქართულ-სომხური |
| ახალქალაქი | 3 | ქართულ-სომხური |
| ნინოწმინდა | 3 | ქართულ-სომხური |

2025 წლის 8 მაისს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. სამუშაო ჯგუფი ცესკოში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით არის შექმნილი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საარჩევნო ადმინისტრაციის, სახელმწიფო უწყებებისა და ეთნიკური უმცირესობის თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. შეხვედრაზე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ

რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის განხორციელებული პროექტების, საინ-ფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და უახლოეს მომავალში დაგეგმილი სერტიფიცირების გამოცდების შესახებ ისაუბრეს. მონაწილეები ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სერტიფიცირების იმიტირებული გამოცდის ელექტრონულ პლატფორმას გაეცნენ, რომლის მიზანი სერტიფიცირების გამოცდებისთვის მზადების ხელშეწყობა და დაინტერესებული პირების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის გადამოწმებაა. აღსანიშნავია, რომ ახალი პლატფორმა სამენოვანია და მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მისთვის სასურველ ენაზე მოემზადოს სერტიფიცირებისთვის. შეხვედრაზე ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატის დემონსტრირებაც გაიმართა. მონაწილეებმა ადგილზე ნახეს თუ როგორ გამოიყურება აღნიშნული აპარატი ბიულე-ტენისთვის განკუთვნილ ჭრილზე საფარის დამატების შემდგომ. სამუშაო ჯგუფი ცესკოში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით არის შექმნილი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საარჩევნო ადმინისტრაციის, სახელმწიფო უწყებებისა და ეთნიკური უმცირესობის თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

2025 წელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორან-დუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი ცესკოს თავმჯდომარემ და ზურაბ ჟვანიას სახე-ლობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორმა მოაწერეს. 2025 წლის 12 სექტემბერს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომ-ლობის მემორანდუმის ფარგლებში, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე ახალქალაქში ახალგაზრდებს შეხვდა. შეხვედრას, რომელიც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწი-ფო ადმინისტრირების სკოლის ორგანიზებით გაიმართა, სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის წარმატებული კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ. ღონისძიება სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის წარმატებით დასრულებას მიეძღვნა. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეტალურად ისაუბრა არ-ჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობასა და არჩევნების ისტორიაზე, ასევე მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის მზადების პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. შეხვედრის დასას-რულს კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები.

2025 წლის 28 სექტემბერს, ზემოაღნიშნული გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მორიგი შეხვედრა ქალაქ მარნეულში გაიმართა. სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის წარმატებულ კურსდამთავრებულებს ცენტრალური საარ-ჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინის-ტრირების სკოლის დირექტორი შეხვდნენ. ცესკოს თავმჯდომარემ დეტალურად ისა-უბრა არჩევნებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებუ-ლი საქმიანობის, საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობებისა და

მნიშვნელოვანი საარჩევნო სიახლეების შესახებ. ასევე, მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის მზადების პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. ცესკოს თავმჯდომარემ და ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორმა, მარნეულის სასწავლო ცენტრის კურსდამთავრებულებს სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სერტიფიკატები გადასცეს.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ, საქართველოს უსინათლოთა კავშირთან თანამშრომლობით, წლის განმავლობაში უსინათლო ამომრჩევლებთან სამი სამუშაო შეხვედრა გამართა. საარჩევნო პერიოდში ქ.თბილისსა და ქ.რუსთავში ორგანიზებული შეხვედრის ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებსა და იმ სერვისების შესახებ, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია უსინათლო ამომრჩევლებს საარჩევნო უბანზე სთავაზობს. 2025 წლის 22 დეკემბერს კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შშმ პირთა უფლებადამცველთან და საქართველოს უსინათლოთა კავშირის წევრ დავით ბიბილეიშვილთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრის განმავლობაში მხარეებმა დეტალურად ისაუბრეს 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს განხორციელებულ იმ საქმიანობებზე, რომლებიც საარჩევნო პროცესში უსინათლო ამომრჩევლებისთვის მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურება. საუბარი ასევე შეეხო უსინათლო ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს და რეკომენდაციებს.

საარჩევნო ადმინისტრაციამ საქართველოს ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით გამართა საინფორმაციო შეხვედრების ციკლი საქართველოს ყრუთა კავშირთან და ყრუ ამომრჩევლებთან. საინფორმაციო შეხვედრები ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში გაიმართა. შეხვედრის მიზანი 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება, საარჩევნო პროცედურებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება იყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია 4 ოქტომბრის არჩევნების შესახებ და ზოგადად საარჩევნო სიახლეების შესახებ, ასევე ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული/დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო კითხვებზე.

2025 წლის 7 მაისს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შშმ

3. ონლაინ სერვისი „ნახე როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში“ იხილეთ ბმულზე: https://game.cec.gov.ge/

პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი ცესკოში მრავალი წელია ფუნქციონირებს და მისი მიზანია შშმ ამომრჩევლებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. შეხვედრის ფარგლებში აღინიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის პრიორიტეტულია ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა და ყველა ამომრჩევლისთვის თანაბარი პირობების შექმნა. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში დეტალურად ისაუბრეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს განხორციელებულ იმ აქტივობებზე, რომლებიც საარჩევნო პროცესში შშმ პირების მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურებოდა. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის მზადების პროცესზე, მათ შორის ცესკოს მიერ მიღებულ ახალ რეგულაციებსა და გადაწყვეტილებებზე. ამასთანავე, გაიმართა ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატის დემონსტრირებაც.

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩევლებს შესთავაზა განახლებული ონლაინ სერვისი **„ნახე როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში“**, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში გამოყენებული იყო კომპოზიციური ბიულეტენი, რომელშიც ამომრჩეველს სამივე სვეტში უნდა გაეკეთებინა არჩევანი. აღნიშნული სერვისი მოქალაქეებს საშუალებას აძლევდა ვირტუალურად გაევლოთ ხმის მიცემის ყველა ეტაპი და გაეცნოთ საარჩევნო პროცედურები პრაქტიკულად. სერვისის ბმული განთავსებული იყო ცესკოს ვებგვერდზე[3] ასევე ჩატვირთული იყო ცესკოს მობილურ აპლიკაციაში, რომელიც მორგებული იყო, როგორც Android-ზე, ასევე IOS ოპერაციულ სისტემებზე. აღნიშნული სერვისით ისარგებლა 1 431-მა უნიკალურმა მომხმარებელმა.

ამომრჩეველთა და საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარის დროული და სრულყოფილი ინფორმირების მიზნით ცესკომ განაახლა **მობილური აპლიკაცია,** რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმება, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურების გაცნობა. ცესკოს მობილური აპლიკაცია მორგებული იყო, როგორც Android-ზე, ასევე IOS ოპერაციულ სისტემებზე, რაც უზრუნველყოფდა მის ხელმისაწვდომობას ფართო მომხმარებელთა ჯგუფისთვის.

2025 წლის განმავლობაში ცესკოს ვებგვერდით და აპლიკაციით ისარგებლა 2 601 099 მომხმარებელმა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ელექტრონული სერვისების მზარდ როლს ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფის პროცესში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (3)

ცხრილი 3. 2025 წლის სტატისტიკა ცესკოს ვებგვერდის და აპლიკაციის გამოყენების შესახებ

| ოპერაციული სისტემების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| Android | 328 072 |
| Ios | 317 027 |
| Web | 1 956 000 |
| **სულ** | **2 601 099** |

გადაიხედა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები, რის შედეგადაც, საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების საჭიროება არ დამდგარა. საზოგადოების დაბალი ინტერესი საინფორმაციო ღონისძიებებზე დასწრების მიმართ - რისკ ფაქტორიც არ დადგა.

**ამოცანის 1.3 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 1.3. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
**1.3.1** საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა უმეტესობის დადებითი შეფასება
**1.3.2** საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა

2025 წლის 17 თებერვლიდან 21 მარტის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობით განახორციელეს მასშტაბური საინფორმაციოსასწავლო პროექტი **„არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“**, რომელიც კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოში დემოკრატიული საარჩევნო კულტურის განვითარებისთვის და საქართველოს მომავალი თაობის აქტიურ ამომრჩევლებად ჩამოყალიბებისთვის. პროექტი 2015 წლიდან დღემდე 64 მუნიციპალიტეტის 2 066 საჯარო სკოლაში განხორციელდა, XI-XII კლასის 41 104-მდე მოსწავლესთან.

პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობას. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში XI-XII კლასის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- არჩევნების არსი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობა;
- საქართველოში დემოკრატიული არჩევნების განვითარების ისტორია და მოდერნიზებული არჩევნები;
- დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემო და გენდერული თანასწორობა საარჩევნო პროცესში;
- არჩევითი სახელმწიფო ორგანოები;
- საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები;
- არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები და მათი როლი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში;
- სიძულვილის ენის და დეზინფორმაციისაგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა პრაქტიკული სწავლებაც გაიარეს და მათი მონაწილეობით იმიტირებული არჩევნები ჩატარდა. პროექტის იმპლემენტაცია სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 101-მა ტრენერმა უზრუნველყო.

საინფორმაციო-სასწავლო კურსი 360 საჯარო სკოლის 7 604 მა მოსწავლემ გაიარა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა) განლაგებული 56 საჯარო სკოლის 1 166-მა მოსწავლემ.

სკოლის მოსწავლეებმა პოზიტიურად შეაფასეს პროექტი, რომელიც ფოკუსირებული იყო ახალგაზრდებზე, ვისაც ახლო მომავალში პირველად ექნებათ შეხება არჩევნებთან. უკუგების ფორმატში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსი იყო ძალიან ინფორმატიული და საინტერესო. მონაწილეებს განსაკუთრებით მოეწონათ კურსის ჩატარების ფორმატი -ინტერაქტიური სწავლება, პრაქტიკული სავარჯიშოები, ტრენერების ჩართულობა, რაც მათთვის პრაქტიკულად გამოსადეგი და ინსპირაციული აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა დადებითად შეაფასეს.

*„საკმაოდ კმაყოფილი დავრჩი ამ კურსით და კიდევ ბევრი რამ გავიგე არჩევნებზე“;*

*„სასწავლო კურსი იყო ძალიან საინტერესო. მოიცავდა როგორც ინფორმაციულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. აღნიშნულმა კურსმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“;*

*„ტრენერმა მოსწავლეებს გააცნო უამრავი ახალი ინფორმაცია, მათ შორის იყო: არჩევნების მნიშვნელობაზე და იმაზე საუბარი თუ როგორ ტარდებოდა არჩევნები უწინ და ახლა. მოკლე შეფასება, რომ გავაკეთო, ვიტყვი, რომ პირადად მე ტრენინგით კმაყოფილი დავრჩი, მესიამოვნა ახსნის პროცესი. ასევე საინტერესო იყო ის თითოეული აქტივობები, რომლებიც შევასრულეთ, რამაც საშუალება მოგვცა ბევრი რამ რეალურადაც წარმოგვედგინა, საბოლოოდ კი ამ ტრენინგს 10/10 შევაფასებდი, დიდი მადლობა ტრენერს“;*

*„მომეწონა ტრენინგი და ტრენერი. ეს სასწავლო კურსი იყო ძალიან საინტერესო, ბევრი რამ გავიგეთ არჩევნების შესახებ, რასაც მომავალში გამოვიყენებთ, ასეთი ტრენინგები საჭიროა ცნობიერების ამაღლებისათვის, სავარჯიშოები ანვითარებს ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას“ .*

***მონაწილეთა გამოხმაურებები კითხვარიდან***

2025 წლის 17 თებერვლიდან 12 მარტის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობით, განახორციელეს მასშტაბური საინფორმაციო პროექტი „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“ საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის. პროექტი მიზნად ისახავდა საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის **„დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“** გაზიარება, რაც ხელს უწყობდა არჩევნების მოდულზე საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლეებისთვის განახლებული ინფორმაციის გაზიარებას. უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო განათლების მიმართულებით ჩატარებული პროექტი ახალგაზრდა თაობის საარჩევნო ცნობიერების ამაღლების კომპლექსური ამოცანის შესრულებას ემსახურებოდა. სწავლების ცენტრმა საბაზო და საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის სპეციალურად მოამზადა დამატებითი საინფორმაციო რესურსი, რომელიც მოიცავს საარჩევნო თემატიკას, თემის განვრცობისთვის განკუთვნილ საკითხავ მასალას, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და სარეკომენდაციო მითითებებს ჩატარების მეთოდოლოგიის შესახებ. შეხვედრის ფარგლებში აღნიშნული რესურსი გადაეცათ პედაგოგებს.

ამასთან, შეხვედრების ფარგლებში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ამომრჩევლის როლის მნიშვნელობა და პოლიტიკური კულტურის ასპექტები;
- დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები;
- არჩევნების მოდერნიზაციის ტენდენციები და ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება;
- ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემო;
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები.

საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა 23 მუნიციპალიტეტში (თბილისი, ყვარელი, გურჯაანი, კასპი, თიანეთი, ქარელი, ბორჯომი, ასპინძა, გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი, თერჯოლა, ვანი, სამტრედია, ჭიათურა, ხარაგაული, ხელვაჩაური, ლანჩხუთი, წალენჯიხა, მარტვილი, სენაკი), მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 5 მუნიციპალიტეტში (გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი). შეხვედრებში მონაწილეობა 478 საჯარო სკოლის 510-მა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მიიღო, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ხუთ მუნიციპალიტეტში განლაგებული 69 საჯარო სკოლის 92 პედაგოგმა. სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა პოზიტიურად შეაფასეს. უკუგების ფორმატში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გადაცემული სასწავლო რესურსი და გაზიარებული სასწავლო მეთოდოლოგია მორგებულია მოსწავლეების ასაკთან, ინტერესებთან და ხელს შეუწყობს საარჩევნო სიახლეების გაცნობასა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის გათავისებას.

---

- ✔ *„ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია და კარგია ასეთი შეხვედრები“;*
- ✔ *„ძალიან ინფორმაციული იყო შეხვედრა, რაც გაგვიმარტივებს ბავშვებთან საარჩევნო სისტემების ახსნას“;*
- ✔ *„ბევრი საინტერესო საკითხი იყო, რაც ადრე გაურკვევლად მეჩვენებოდა“;*
- ✔ *„თემატიკა პროფესიიდან გამომდინარე ნაცნობია, აქტივობები საინტერესოა“;*
- ✔ *„მივიღე ინფორმაცია ტექნოლოგიური მეთოდით ხმის მიცემის შესახებ“;*
- ✔ *„ძალიან ბევრი სიახლე იყო, რასაც გამოვიყენებ საგაკვეთილო პროცესში“;*
- ✔ *„ძალიან შინაარსიანი და განსაკუთრებული ტრენერი და შეხვედრა“;*

***მონაწილეთა გამოხმაურებები კითხვარიდან***

---

სწავლების ცენტრმა, საანგარიშო პერიოდში, პარტნიორ უნივერსიტეტებში განახორციელა საავტორო პროგრამა **"საარჩევნო სამართალი".** აღნიშნული პროგრამა თანამედროვე სწავლების სტრატეგიას ეფუძნებოდა - დიდი ყურადღება დაეთმო სტუდენტების როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკაში პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. აღნიშნული კურსის ფარგლებში, სტუდენტებმა ინფორმაცია მიიღეს არჩევნებთან დაკავშირებულ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებზე და საერთაშორისო საარჩევნო პრაქტიკაზე.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის საარჩევნო სამართლის დარგში აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავება, ახალგაზრდებში საარჩევნო კულტურის განმტკიცება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე დარგობრივი სპეციალისტების მომზადება და სტუდენტებისთვის 2025 წლის 4 ოქტომბერს გასამართი მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებულ საარჩევნო სერვისებზე ინფორმაციის მიწოდება.

პროგრამა განხორციელდა 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტებში სემესტრულ სასწავლო პროგრამაში „საარჩევნო სამართალი" მონაწილეობა მიიღო 746-მა სტუდენტმა, მათ შორის 95 სტუდენტი იყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონიდან (ქ. ახალციხე). საბოლოოდ პროგრამა, მონაწილეებმა, დადებითად შეაფასეს.

2025 წლის 16-23 მაისის პერიოდში, არჩევნების პოპულარიზაციის, ახალგაზრდების აქტიურ და ინფორმირებულ ამომრჩევლებად ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში განახორციელა სასწავლო საინფორმაციო პროექტი **"ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი".** პროექტი განხორციელდა თბილისსა და რეგიონების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია 2025 წლის 4 ოქტომბერს გასამართი მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ,

ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზების გარანტიებზე, მათ შორის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობასა და ხელშემწყობ პირობებზე. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტები, ასევე, გაეცნენ ინფორმაციას საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. სემინარების ჩატარება სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს.

შეხვედრების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ საერთაშორისო ტენდენციებს არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, განიხილეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისები და ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის ჩატარების სიახლეები. პროექტში მონაწილეობა 113-მა სტუდენტმა მიიღო. პროგრამის მონაწილეებმა სასწავლო კურსი დადებითად შეაფასეს.

პროექტი განხორციელდა თბილისსა და რეგიონებში მოქმედი 7 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2025 წლის 23 ივნისი - 18 ივლისის პერიოდში განხორციელდა სასწავლო პროექტი **„არჩევნები და ელექტრონული ტექნოლოგიები“.** პროექტი მიმდინარეობდა 64 მუნიციპალიტეტში, თბილისსა და რეგიონებში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში მდებარე წინასწარ განსაზღვრულ 89 ლოკაციაზე. ჩატარებული სასწავლო კურსების რაოდენობამ შეადგინა 358, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში 50.პროექტში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 4 861 მონაწილეს, აქედან ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მონაწილე იყო 616 პირი. აღნიშნული სასწავლო პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო პროექტი **„ცესკოს საარჩევნო ბანაკი“.** 2025 წელს საარჩევნო ბანაკები ჩატარდა ანაკლიაში და შაორში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სასწავლო პროექტი ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული სასწავლო პროექტის მიზანს, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, წარმოადგენდა არჩევნების მნიშვნელობაზე და საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობაზე მათი ინფორმირებულობა და საარჩევნო ადმინისტრაციის ახალგაზრდებთან თანამშრომლობა.

2025 წლის 25 სექტემბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ და სწავლების ცენტრმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა მუნიციპალიტეტის ორგანოთა **2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამ-**

**კვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.** შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია იმ ძირითად საკითხებზე, რომელიც უკავშირდებოდა მათი უფლება-მოვალეობების განხორციელებასა და სხვადასხვა საარჩევნო/საკანონმდებლო სიახლეს. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ჩართული მხარეების ინფორმირების ხელშეწყობა კენჭისყრის დღის პროცედურული სიახლეებისა და საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების საკითხებზე; საარჩევნო ადმინისტრაციასა და ჩართულ მხარეებს შორის პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის განმტკიცება და ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა.

შეხვედრაზე განხილული იყო შემდეგი მნიშვნელოვანი თემები:

- მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის მზადების პროცესი;
- კენჭისყრის დღის პროცედურული ასპექტები;
- ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული 6 პოლიტიკური პარტიის 13-მა წარმომადგენელმა:

- მპგ „კონსერვატორები საქართველოსთვის“;
- მპგ „სახალხო ხელისუფლება“;
- მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- მპგ „ძლიერი საქართველო-ლელო“;
- მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
- მპგ „მამული, ენა, სარწმუნოება“.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებულმა 11 დამკვირვებელი ორგანიზაციის 28 წარმომადგენელმა:

- ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;
- ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“;
- ა(ა)იპ „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერი“;
- ა(ა)იპ „საერთაშორისო ასოციაცია დაიცავი შენი წილი სამშობლო“;
- ა(ა)იპ „ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისათვის“;
- ა(ა)იპ „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“;
- ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- ა(ა)იპ „მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- ა(ა)იპ „კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“;
- ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველი“.

2025 წელს არჩევნების მთლიანობის უზრუნველსაყოფად, მოქმედი სტრატეგიის ფარგლებში, ცესკომ ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიმართულებით უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტებისათვის და არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის, ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ, სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა.

ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და კონსულტაციების გაწევა მოხდა სატელეფონო კომუნიკაციის ფორმატში. კონსულტაციები ეხებოდა ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენებას. სატელეფონო კონსულტაციებში მონაწილეობდა 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული 15 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 15 წარმომადგენელი. რაც შეეხება არჩევნებში მონაწილეობისათვის უფლებამოსილ საარჩევნო სუბიექტებს, მათთან ჩატარდა სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრები ეხებოდა ელექტრონულ მართვის სისტემაში (EMS) განხორციელებული ცვლილებების და სიახლეების გაცნობას. მათ გაეცნოთ EMS -ში დამატებული სხვადასხვა საჭირო და მნიშვნელოვანი მოდულები. აღნიშნულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო 9 საარჩევნო სუბიექტის 14 წარმომადგენელი.

2025 წლის 29-30 აგვისტოს და 13-14 სექტემბერს ცესკომ და სწავლების ცენტრმა საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრები გამართეს **2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.** შეხვედრებზე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები:

- 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენების პროცესის მიმოხილვა;
- მიმდინარე წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები;
- არჩევნებში მედიის როლი და საერთაშორისო სტანდარტები არჩევნების ორგანიზების პროცესში;
- ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ჩართული მხარეების ინფორმირება და ხელშეწყობა კენჭისყრის დღის პროცედურული სიახლეებისა და საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების საკითხებზე; საარჩევნო ადმინისტრაციასა და ჩართულ მხარეებს შორის პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის განმტკიცება და ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა. პროექტში მონაწილეობა მიიღო 51 მედია ორგანიზაციის 70-მა ჟურნალისტმა.

2025 წლის 2 სექტემბერს, ცესკოსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის, გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით მნიშვნელოვან მიმართულებად პოლიციელების გადამზადება განისაზღვრა. შესაბამისად, 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, სწავლების ცენტრმა და ცესკოს აპარატის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით 8-15 სექტემბრის პერიოდში, დისტანციურ ფორმა-

ტში, განახორციელა მასშტაბური სასწავლო-საინფორმაციო პროექტი, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის. პროექტი ჩატარდა „არჩევნების უსაფრთხოება“-კურსის ფარგლებში. კურსის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- უსაფრთხო და მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად ეფექტიანი კომუნიკაცია საარჩევნო ადმინისტრაციასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის;
- კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რისკების იდენტიფიცირება, პრევენცია და რეაგირების მექანიზმები.

სასწავლო-საინფორმაციო კურსში მონაწილეობა, 18 შეხვედრის ფარგლებში, პოლიციის 1 619-მა თანამშრომელმა მიიღო.

2025 წლის 26 სექტემბერს სწავლების ცენტრმა, გამართა შეხვედრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის იმ პენიტენციური დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სადაც 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნები ფუნქციონირებდა. საინფორმაციო კურსი საარჩევნო ადმინისტრაციას და პენიტენციურ სამსახურს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ასპექტებს მოიცავდა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა-საარჩევნო უფლების მქონე ბრალდებულების/მსჯავრდებულების არჩევნებში მონაწილეობისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობა.

სწავლების ცენტრმა სპეციალიზებული პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს გააცნო ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები: პენიტენციურ დაწესებულებებში სააგიტაციო მასალების განთავსების წესი და ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულების/მსჯავრდებულების ინფორმირების პირობები, კენჭისყრის პროცესში ამომრჩევლების მონაწილეობის პროცედურები, ხმის მიცემის პროცესში პატიმართა უფლებების დაცვა და თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, მათ შორის, ამომრჩევლის ხმის მიცემის ფარულობის, ნების თავისუფალი გამოვლენის, პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიები, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები და მათი უფლებრივი მდგომარეობა და კენჭისყრის შენობის მოწყობის ლოგისტიკური საკითხები და უსაფრთხოება. პროექტში მონაწილეობა მიიღო N10 გლდანის, N20 რუსთავის, N27 მცხეთის, N58 წყალტუბოს, N59 ქუთაისის, N60 ოზურგეთის და N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიების სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულმა N1, N2, N3, N5, N8, N12, N14, N15, N17 პენიტენციურ დაწესებულებების წარმომადგენლებმა. აღნიშნულ დაწესებულებებში 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის ფუნქციონირებდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები.

საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სპეციალური პენიტენციური სამსახურის 9 პენიტენციური დაწესებულების 14-მა წარმომადგენელმა.

ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისთვის პროექტის **„საარჩევნო მედია სკოლა“** განხორციელების მიზნით, შემუშავდა პროექტის კონცეფცია. განისაზღვრა სასწავლო კურსის საკითხები და პროექტის მონაწილეთა შესარჩევი კრიტერიუმები. მომზადდა სააპლიკაციო ფორმა, ხოლო პროექტი 2025 წელს განხორციელდა. აღნიშნული საგანმანათლებლო საპილოტე პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და საარჩევნო საკითხების შესახებ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების ცნობიერების ამაღლება იყო. **„საარჩევნო მედია სკოლა“** 15 სექტემბერს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ პროექტის მონაწილეებს ინფორმაცია და საკუთარი გამოცდილება შეხვედრებისა და დისკუსიის ფორმატში ცესკოს ხელმძღვანელ პირებთან ერთად მოწვეულმა ექსპერტებმაც გაუზიარეს. სტუდენტები ორი კვირის განმავლობაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეცნობოდნენ, როგორიცაა:

- საარჩევნო სისტემები და საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები;
- ელექტრონული არჩევნები;
- ხმის მიცემის პროცედურები;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემო;
- მედიის როლი საარჩევნო პროცესში, საერთაშორისო პრაქტიკა, მედიის უფლებები და მოვალეობები საარჩევნო პროცესის გაშუქებისას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა;
- დეზინფორმაცია როგორც მსოფლიოს გამოწვევა და მასთან გამკლავების გზები, არასწორი აღქმები, აზრის ფორმირება.

პროექტი ცესკოსა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის არსებული მემორანდუმის და ასევე, ცესკოს სწავლების ცენტრსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში განხორციელდა. პროექტში მონაწილეობდა 10 სტუდენტი, საგანმანათლებლო პროექტის წარმატებით დასრულებისათვის მონაწილეებს სერტიფიკატები 30 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და ცესკოს პრეს-სპიკერმა გადასცეს.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში მიზნობრივი ჯგუფების დაბალი ინტერესი საინფორმაციო/სასწავლო პროგრამების მიმართ რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## მიზანი 2. სამართალწარმოების პროცესის განვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორი | 7 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 12 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

2.1 საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება;
2.2 სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება.

დაგეგმილი აქტივობიდან ყველა განხორციელდა. აქტივობების შესრულების შესახებ სტა-ტუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (5).

დიაგრამა 5. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით




**ამოცანის 2.1. ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღე-ბულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 2.1. საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

**2.1.1.** საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით OSCE/ODIHR-ის სადამკვირ-ვებლო მისიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა

**ამოცანის ინდიკატორთან** მიმართებით, აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საარჩევნო ადმი-ნისტრაციამ ადმინისტრირება გაუწია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 4 ოქტომბრის არ-ჩევნებს, რომლის ფარგლებშიც ეუთო/ოდირს არ განუხორციელებია სადამკვირვებლო მისია.

2025 წლის 19-20 ივლისს წინანდალში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორგანიზებით საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლე-ებისთვის სამუშაო შეხვედრა 4 ოქტომბერს გასამართ მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებთან დაკავშირებით გაიმართა. მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში ისე-თი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, როგორიცაა: საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიები, ცვლილებები კანონმდებლობაში, ელექტრონული საშუალებების შესა-ბამისობის აუდიტის შედეგები, საარჩევნო დავებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქ-ტიკა და სხვა.

შეხვედრის ფარგლებში, ცესკოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა იმ სტრატეგიულ მიმართულებებზე, რომლებიც უკავშირდება კენჭისყრის პროცესის მაქსიმალურად გამ-ჭვირვალე და ინოვაციური გზით წარმართვას. ასევე, მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების პროცესის შესახებ. შეხვედრის ფარგლებში ცესკოს აპარატის უფროსმა/იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა მიმოიხილა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული აქტები, რომლებიც ეხება საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების რეგულაციას და მათი სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებას. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა პრაქტიკული მაგალითები და აუდიტის შედეგები, რაც მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სასამართლოსთვის დავების განხილვისას. ამასთანავე, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკაში ენახათ ის სიახლეები, რომელიც საარჩევნო აპარატებს უკავშირდება.

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების ფარგლებში საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე განახლდა და ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ორი დოკუმენტი:

- საარჩევნო დავების შესახებ სახელმძღვანელო;
- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო.

2025 წელს განხორციელდა გამოქვეყნებული დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგა-რიშების ანალიზი. ანალიზის დოკუმენტი წარედგინა/გაეგზავნა ცესკოს ხელმძღვანელ პირებს.

სამართალწარმოების პროცესის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით, საოლქო სა-არჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებსა და წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ტრე-ნინგის მონაწილეები გაეცნენ საკანონმდებლო ცვლილებებს, საარჩევნო დავების წარმოების, მათი ერთგვაროვანი განხილვის შესახებ საკითხებს, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, რამაც ხელი შეუწყო საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესებას. აღნიშნულ ტრენინგს დაესწრო 73 საოლქო საარჩევნო კომისი-ის 365 წევრი.

საარჩევნო დავებთან დაკავშირებით ონლაინ პლატფორმების ეფექტურად გამოყენების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის (თავმჯდომარე, მდივანი) ჩატარდა ტრენინგი, რომლის ფარგლებში ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს

ინფორმაცია საჩივრების რეესტრის, საჩივრის ელექტრონული ფორმით შეტანისა და მინდობილ პირთა ელექტრონული რეესტრის გამოყენების შესახებ, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ონლაინ პლატფორმების ადმინისტრირებას. აღნიშნულ ტრენინგს დაესწრო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 146 წევრი.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრის და ცესკოს აპარატის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, 18-20 სექტემბრის პერიოდში, დისტანციურ ფორმატში განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისთვის საარჩევნო დავების საკითხებზე გადამზადების პროგრამა. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, განიხილეს საარჩევნო დავების წარმოების ერთგვაროვანი პრაქტიკა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ონლაინ სერვისები. პრაქტიკული სწავლების კომპონენტში მონაწილეებმა კაზუსების განხილვის მაგალითზე იმსჯელეს საარჩევნო დავების გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავდა საოლქო საარჩევნო კომისიების საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერებას და ერთგვაროვანი პრაქტიკის გაზიარებას. ჩატარებულ სამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 64-მა იურისტმა. 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებზე კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში ჯამურად წარმოდგენილი იყო 132 საჩივარი. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ჩატარებული საერთო არჩევნების ჭრილში შეინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების რაოდენობის კლების ტენდენცია. დეტალური ინფორმაცია საჩივრების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში (4).

ცხრილი 4. ინფორმაცია საჩივრების შესახებ

| სტატუსი | რაოდენობა |
|---|---|
| სულ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა | 132 |
| ბათილი ბიულეტენების გადათვლის შესახებ | 10 |
| დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ | 88 |
| შედეგების გადათვლის შესახებ | 24 |
| საარჩევნო უბნის დოკუმენტაციის გახსნის შესახებ | 1 |
| შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობის შესახებ | 1 |
| კანონით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირების შესახებ | 8 |

საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრებიდან:

- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან დაკმაყოფილდა 2;
- არ დაკმაყოფილდა 70;
- განუხილველად დარჩა 59;
- საჩივარი გაითხოვეს 1 შემთხვევაში.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეკომენდაციების არაერთგვაროვანი გათვალისწინებით გამოწვეული რისკ ფაქტორის შეფასება განხოციელდება საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2026 სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

**ამოცანის 2.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მი-ღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 2.2. სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**
**2.2.1.** საარჩევნო პროცედურების დაზუსტებისთვის ცესკოს მიერ მიღებული დადგენი-ლებების რაოდენობა
**2.2.2.** ცესკოს მიერ საკანონმდებლო ორგანოში წინადადებების წარდგენა

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ საარჩევნო პროცე-დურების დაზუსტების მიზნით, ცესკომ 2025 წელს მიიღო 25 დადგენილება.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი აღ-ქმის შესახებ სამუშაო შეხვედრის ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოთა 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებისათვის გაზი-არებულ იქნა ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების, საარჩევნო სუბიექტების უფ-ლება-მოვალეობების, ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო 6 საარჩევნო სუბიექტის 13 მონაწილე.

ასევე, 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის ადგი-ლობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებისათვის გაზიარებულ იქნა ინფორმაცია საკანონ-მდებლო სიახლეების, დამკვირვებლების უფლება-მოვალეობების, ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო 11 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 28 მონაწილე.

2025 წელს განხორციელდა 2024 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევ-ნების სამართლებრივი ანალიზი, რომლის ფარგლებშიც:

- განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზი;
- ზოგიერთ შემთხვევაში მომზადდა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილები;
- რეკომენდაციები საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მიწოდებულია სამუშაო შეხ-ვედრების ფორმატში;

- სარეკომენდაციო წერილები გაეგზავნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საარჩევნო ადმინისტრაციას საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება არ წარუდგენია. შესაბამისად, არ დამდგარა ამოცანით გათვალისწინებული ცესკოს მიერ წარდგენილი წინადადებების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული რისკ ფაქტორი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ინსტიტუციური გაძლიერება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:
- მართვის ეფექტიანობის ზრდა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება.

### მიზანი 3. მართვის ეფექტიანობის ზრდა

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორი | 3 აქტივობა | აქტივობის შესრულების 5 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

3.1 მართვის ხარისხის გაუმჯობესება;

3.2 მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება.

დაგეგმილი აქტივობებიდან ყველა განხორციელდა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (6).

დიაგრამა 6. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



**ამოცანის 3.1 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგი**

**ამოცანა 3.1. მართვის ხარისხის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
**3.1.1.** თანამშრომლების მიერ მართვის ინსტრუმენტების შეფასება

2025 წელს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების მართვის სფეროში საერთაშორისო აუდიტი კვლავ წარმატებით გაიარა. ISO-ს სტანდარტი წარმოადგენს ხარისხის მართვის ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ საერთაშორისო ჩარჩოს, რომლის მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და მომხმარებელზე ორიენტირებულობის უზრუნველყოფა.

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის ფარგლებში ჩატარებული აუდიტი ორ ეტაპად განხორციელდა. ISO-ს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შპს „მენეჯმენტის სისტემების" აუდიტორის მიერ 2025 წლის 3 ივლისს განხორციელდა შიდა აუდიტი, ხოლო 2025 წლის 19 აგვისტოს დისტანციურად განხორციელდა სასერტიფიკაციო აუდიტი საერთაშორისო აუდიტორების მიერ. ორივე სახის აუდიტი წარმატებით დასრულდა და ცესკომ მოიპოვა მორიგი საერთაშორისო ISO 9001:2015 სერტიფიკატი.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ხარისხის მართვის სისტემის (QMS) მრავალ დადებით მხარესა და უპირატესობას შორის, აუდიტორის მიერ აღნიშნულ იქნა შემდეგი ასპექტები:

- კარგად ჩამოყალიბებული სტრატეგია კონკრეტული შედეგების მისაღწევად;
- საარჩევნო პროცესისა და ხმის მიცემის პროცედურების მაღალ დონეზე მართვა/რეგულირება;
- არჩევნებში ჩართულ მხარეებთან მუდმივი კომუნიკაცია;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ფართომასშტაბიანი სწავლება და გადამზადება;
- ინფორმირების კამპანიის ფარგლებში საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების ფართომაშტაბიანი გამოყენება.

აუდიტის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ადმინისტრაციის მიზნები, ამოცანები, აქტივობები და პროექტები, შეთავაზებული სერვისები და საქმიანობის მონიტორინგი შეესაბამება ხარისხის მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილ ყველა სტანდარტს.

*„ადმინისტრაციის საქმიანობა პასუხობს საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს. დადასტურდა, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტის სისტემა (MS) წარმატებით უზრუნველყოფს დადგენილი სტანდარტის (სტანდარტების) შესაბამისი მოთხოვნების შესრულებას და აკრედიტებული სერტიფიცირებისთვის მოსალოდნელი შედეგების მიღწევას, როგორც ეს განსაზღვრულია ISO IAF-ის კომუნიკეში აკრედიტებული სერტიფიცირების შესახებ. ორგანიზაცია აკმაყოფილებს და შესაბამისად ახორციელებს MS-ის შესაბამის მოთხოვნებს და შეუძლია უზრუნველყოს ამ სერვისის უწყვეტი მიწოდება მომხმარებლის მოთხოვნებისა და შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდის მიზნით.“*

***საერთაშორისო აუდიტორის შეფასება***

აღსანიშნავია, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს, წელს პირველად მიენიჭა ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 სერტიფიკატი, მან წარმატებით გაიარა ISO საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისი შიდა აუდიტი, შპს „ისო კონსალტინგ“-თან თანამშრომლობით, 2025 წლის ნოემბერში და ამავე წლის დეკემბერში საერთაშორისო ორგანიზაციის „LL-C Certification“ მიერ ჩატარებული სასერტიფიკაციო აუდიტის შედეგად მიიღო ISO 9001:2015 საერთაშორისო სერტიფიკატი, რითაც ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობა და მომხმარებლების მაღალი ხარისხის სერვისებით უზრუნველყოფა დადასტურდა.

საერთაშორისო აუდიტორებმა შეისწავლეს სწავლების ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემა და კონტექსტი, რომელიც უკავშირდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პროფესიული განათლების პროგრამების და სერტიფიცირების გამოცდების ჩატარებას, ამომრჩევლებისა და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეებისთვის მასშტაბური სწავლების-ინფორმირების პროექტების განხორციელებას.

აუდიტორულ დასკვნაში აღინიშნული იყო, რომ სწავლების ცენტრი ახდენს ეფექტიანი შიდა მენეჯმენტის დემონსტრირებას, ჰყავს კვალიფიციური და კომპეტენტური გუნდი, სამუშაო პროცესები კარგად არის ორგანიზებული, დასტურდება საქმიანობების შედეგიანობა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა სრულ შესაბამისობაშია ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან.

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების მმართველობითი უნარების გაძლიერების, ასევე, კომისიის წევრების საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესის გაუმჯობესებისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა ოთხი სამუშაო შეხვედრა, რომლებსაც დაესწრო საოლქო საარჩევნო კომისიების 164 ხელმძღვანელი პირი. აღნიშნული სამუშაო შეხვედრების თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ბიზნეს-პროცესების ანალიზი;
- მართვის უნარების გაუმჯობესება;
- საქმიანობის დელეგირება.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ახლადდანიშნული თანამშრომლებისთვის ჩატარდა საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები. შეხვედრებს დაესწრო ცესკოს აპარატის და საოლქო საარჩევნო კომისიების 63 თანამშრომელი. ამასთანავე, მართვის ხარისხის გაუმჯობესების ფარგლებში ცესკოს აპარატის, ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა პირადი საქმეების სისტემატიზაციის მიზნით, სრულად განახლდა თანამშრომელთა სამსახურებრივი და კარიერული მოღვაწეობის შესახებ არსებული პირადი დოკუმენტაცია. ასევე, განახლდა ცესკოს აპარატის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები.

სწავლების მონიტორინგის განხორციელების წლიური გეგმის შესაბამისად, სწავლების მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო მასალები და განახორციელა შემდეგი 2 სასწავლო პროგრამის მონიტორინგი:

- სასწავლო პროგრამა „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენერთა გადამზადება“;
- სასწავლო პროგრამა „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გადამზადება“.

ზემოაღნიშნული სასწავლო პროგრამების სწავლების მონიტორინგის ანგარიშები წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს და სწავლების განმახორციელებელ სუბიექტს.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, 2025 წელს საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული და სხვა პირებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, განხორციელდა ცესკოს ადმინისტრაციული შენობის, მიმდებარე ტერიტორიის, ასევე №30 კასპის საოლქო საარჩევნო კომისიის ინსპექტირება, შედგა შესაბამისი ინსპექტირების ოქმები. ინსპექტირების პროცესში იდენტიფიცირებული საფრთხეების ანალიზი, შეფასებისა და პრევენციის ღონისძიებები აისახა რისკების შეფასების დოკუმენტებში.

ცესკოს აპარატის და საოლქო საარჩევნო კომისიების ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის ჩატარდა შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე, ინსტრუქტაჟი გაიარა 69 თანამშრომელმა.

2025 წელს დაიგეგმა და ჩატარდა ცესკოს აპარატისა და საოლქო საარჩევნო კომისიების თანამშრომლების ტრენინგები - „შრომის უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები და წესები“ და „სახანძრო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, ევაკუაციის ღონისძიებები“. აღნიშნულ ტრენინგებს დაესწრო 634 თანამშრომელი. ამასთანავე, დაიგეგმა და ჩატარდა საოლქო საარჩევნო კომისიებში შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ტრენინგი - „რისკების შეფასების პროცედურები“, ტრენინგი გაიარა 73 თანამშრომელმა.

ტვირთის უსაფრთხოდ გადატანის საკითხებთან დაკავშირებით, ცესკოს აპარატის 38 თანამშრომელს, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი.

აღნიშნული ინსტრუქტაჟის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ტვირთის გადატანისას შესაძლო რისკების, საფრთხეებისა და უსაფრთხოების ნორმების შესახებ. ასევე, ინფორმაციას ტვირთის სწორად შენახვისა და სასაწყობო სივრცეში განთავსებასთან დაკავშირებით.

ცესკოს აპარატის საფინანსო დეპარტამენტის 26 თანამშრომელს, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი „დასუფთავების პრინციპები და სანიტარულჰიგიენური ნორმების დაცვა“. შეხვედრის ფარგლებში თანამშრომლები დეტალურად გაეცნენ დასუფთავების სამუშაოების ჩატარების წესებსა და საფრთხეებს, სხვადასხვა სახის ზედაპირების დასუფთავების სპეციფიკას, ასევე იმ წესებსა და ნორმებს, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნას სამუშაო სივრცეში.

საარჩევნო ადმინისტრაციის მართვის ეფექტიანობის ამაღლებისა და ადამიანური რესურსების განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად, 2025 წელს განხორციელდა 14 საერთაშორისო ვიზიტი, რომელშიც საარჩევნო ადმინისტრაციის 25-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორისაა 7 სადამკვირვებლო მისია, 4 საერთაშორისო კონფერენცია, 2 სასწავლო ვიზიტი, 1 საერთაშორისო სიმპოზიუმი.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არასაკმარისი კვალიფიციური ადამიანური რესურსით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

**ამოცანის 3.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 3.2. მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**
**3.2.1**. მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების რაოდენობა
**3.2.2.** პროგრამების შეფასება მომხმარებელთა მიერ

2025 წელს საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონულ პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის მოდულის შექმნის მიზნით მომზადდა ტექნიკური დავალება, რომლის მიხედვითაც განხორციელდა შემდეგი ეტაპები:

- შეიქმნა სტრუქტურებისა და ბრძანებების მოდულები;
- შეიქმნა სტრუქტურებისა და ბრძანებების ქვემოდულები;
- შეიქმნა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის მოდული;
- შეიქმნა HR პარამეტრების მართვის მოდული, ასევე, სისტემაში დაემატა HR მოდულთან დაკავშირებული ფუნქციონალი;
- განხორციელდა საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონულ პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის მოდულის ტესტირება;
- განხორციელდა შესაბამისი ინფორმაციის აკუმულირება;

- განხორციელდა EMS პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის მოდულის ქვე-მოდულების ტესტირება და შესაბამისი ინფორმაციის შეყვანა;
- შეიქმნა თანამშრომელთა შეფასების სისტემის მოდული;
- შეიქმნა თანამშრომელთა ფუნქციური კომპეტენციების შეფასების სისტემის მოდული.

2025 წელს ტექნიკური მხარდაჭერის მოთხოვნის მიღების, შესრულების და IT პროექტების მართვის გაუმჯობესების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა, დაიწყო მართვის მოდელის ახალი ინსტრუმენტების დანერგვის პროცესი, ამისთვის შემუშავდა მოთხოვნების ფორმები, გაიწერა სისტემაში წვდომები და ჩატარდა შეხვედრები ცესკოს თანამშრომლებთან, სისტემის გამოყენების სწავლების მიზნით. აღნიშნულის დახმარებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში დაინერგა **ჯირა სერვის მენეჯმენტი (Jira service management).** სისტემის მომხმარებელთა გაფართოების მიზნით, განხორცილდა საოლქო საარჩევნო კომისიების ტექნიკური დახმარების მოთხოვნების იდენტიფიცირება, აიწყო მოთხოვნის შესაბამისი ფორმები. სისტემის გამოყენების სწავლების მიზნით შეიქმნა მართვის ახალი მოდულის ინსტრუქციები/სახელმძღვანელოები, აღნიშნული გაეგზავნათ საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამის თანამშრომლებს და ჩაუტარდათ შესაბამისი სწავლება. აღსანიშნავია, რომ ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები  ითვალისწინებს მუდმივ განახლებას ახალი ფუნქციონალის დამატების შემთხვევაში, რაც ხელს უწყობს შესაბამისი თანამშრომლების მუდმივ ინფორმირებას. აღნიშნული სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო ტექნიკური მხარდაჭერის მოთხოვნების სრულფასოვნად აღრიცხვას და მუდმივი მონიტორინგის შესაძლებლობას, რამაც გააუმჯობესა IT  პროექტების მართვა.

ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარატმენტში, აქტიური სამუშაოები ჩატარდა მართვის ახალი მეთოდის - Scrum Agile დანერგვის კუთხით:

- გადამზადდა შესაბამისი ადამიანური რესურსი;
- დეპარტამენტში მომუშავე თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულ გუნდებთან და-იწყო აღნიშნული მეთოდით სამუშაოების წარმართვა, რაც მიზნად ისახავს ახალი მართვის მიდგომებით მუშაობის ეფექტიანობის ზრდას.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისათვის საქ-მისწარმოების წესისა და საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სასწავლო კურსის ფარგლებში ცესკოს მდივნის აპარატმა (დეპარტამენტი), საარჩევნო ადმინისტრაციაში ახლად დანიშნული 8 თანამშრომლისა და 28 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრისთვის/მდივნისთვის, ჩაატარა ტრენინგი. სასწავლო კურსი მოიცავს საქმისწარმოების ზოგადი წესისა და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) კორესპონდენციის რეგისტრაციის, დავალებების/საპასუხო წერილებისა და სამართლებრივი აქტების მომ-ზადების/რეგისტრაციის წესს/პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ ტრენინგისთვის შემუ-შავდა სატრენინგო მასალები/თანამშრომლებზე მორგებული სახელმძღვანელო ინს-ტრუქციები და პრაქტიკული დავალებები.

ცესკოს მდივნის აპარატმა (დეპარტამენტი), საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნებს გაუწია მენტორობა საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) კორესპონდენციის რეგისტრაციის, დავალებების/საპასუხო წერილებისა და სამართლებრივი აქტების მომზადების/რეგისტრაციის წესის/პროცედურების შესახებ.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არასაკმარისი ფინანსური რესურსით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## მიზანი 4. საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 4 ინდიკატორი | 10 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 31 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

4.1 ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება;

4.2 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა.

დაგეგმილი აქტივობებიდან ყველა განხორციელდა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (7).

დიაგრამა 7. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



**ამოცანის 4.1 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 4.1. ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
**4.1.1.** კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა
**4.1.2.** საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების რაოდენობა, რომელსაც დასჭირდა შესწორების ოქმები
**4.1.3.** საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგის ეფექტიანობა შეფასებულია

2025 წელს საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისათვის წევრებისთვის, ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ, გადამზადების მიზნით შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები და შეიქმნა სატრენინგო მოდულები, შემდგომ აღნიშნულ პირებს, ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ, ჩაუტარდათ ტრენინგები. აღნიშნულის ფარგლებში განხილული იქნა საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონულ პროგრამაში (Ems)  განხორციელებული სიახლეების, როგორც თეორიული ასევე, პრაქტიკული ნაწილი. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საოლქო საარჩევნო კომისიების 146-მა ხელმძღვანელმა პირმა/წევრმა.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის სწავლების ცენტრმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის განახორციელა მასშტაბური საინფორმაციო კურსი **„საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები"** პროგრამა ჰიბრიდული ფორმატით ჩატარდა: დისტანციურად და ადგილზე პრაქტიკული სწავლების ფორმატში. აღნიშნული კურსი ემსახურებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ეფექტიანობის ზრდას და ამ პროცესში საარჩევნო კომისიების ყველა წევრის ჩართულობის ხელშეწყობას. პროგრამაში მონაწილეობა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 788 წევრმა მიიღო, მათ შორის ქალი - 531, კაცი - 257.

დისტანციურად გამართული საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული საოლქო საარჩევნო კომისიის მანდატს მიკუთვნებული შემდეგი საკითხები:

- არჩევნების ჩატარების საერთაშორისო სტანდარტები;
- კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენება და ზედამხედველობის მექანიზმის მნიშვნელობა ქვემდგომი საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაზე;
- კენჭისყრის შენობების მოწყობის, აპარატებით/ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფა;
- კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებთან კომუნიკაციის/კოორდინაციის ასპექტები;
- კენჭისყრის პროცესის წარმართვა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა;
- არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა;

- ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერა;
- კენჭისყრის პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვების პირობების უზრუნველყოფა;
- საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის წინასწარი შედეგების და შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა;
- საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი (მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმებისა და ხელახლა დათვლის საფუძვლები და წესი);
- საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირების წესი.

დისტანციურ ფორმატში საინფორმაციო შეხვედრის დასრულების შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში კომისიების წევრთა უშუალო ჩართულობით, საარჩევნო ელექტრონული აპარატების მუშაობის დემონსტრირება განხორციელდა. მონაწილეებმა პრაქტიკაში განიხილეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის და წინასწარი შედეგების გადაცემისთვის განკუთვნილი პლანშეტის ფუნქციონალი.

2025 წლის 28 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით პერიოდში, სწავლების ცენტრის მიერ განხორციელდა პროექტი **„ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება“.**

პროფილური სასწავლო პროგრამა შემდეგ ძირითად საკითხებს მოიცავდა:
- ტრენინგის დაგეგმვა, სტრუქტურა, ჩატარების მეთოდოლოგია;
- ტრენინგის პროგრამის დიზაინი;
- ტრენინგის შეჯამება/შეფასების მექანიზმები;
- ტრენერის სახელმძღვანელოს/გზამკვლევის შედგენის და გამოყენების ტექნიკა; პრეზენტაციის და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევები.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა კვალიფიციური რესურსით ტრენერთა კორპუსის გაძლიერებას და ქმნიდა საარჩევნო საინფორმაციო-სასწავლო პროექტების განხორციელების არეალის, მასშტაბების ზრდის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში პოტენციურ ტრენერებად საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა საკადრო რესურსი გადამზადდა. ტრენერის პროფესიული უნარების განვითარების კურსი 65-მა პირმა გაიარა.

საარჩევნო ადმინისტრატორების პროფესიული ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიზნით, 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის შემუშავებული სატრენინგო კონცეფციის შესაბამისად, ცესკომ და სწავლების ცენტრმა უზრუნველყო ტრენერთა კორპუსის და შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ინტენსიური გადამზადება. მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის მასშტაბური სასწავლო პროგრამა დაიწყო ტრენერთა გადამზადებით. ტრენერთა ტრენინგი 2025 წლის 6 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში განხორციელდა. ტრენერების რაოდენობამ შეადგინა 279 (ქალი - 185, კაცი - 94), რომლებმაც გადამზადება გაიარეს შემდეგი ორი პროფილური მიმართულებით.

194-მა ტრენერმა ტრენინგების ჩატარება უზრუნველყო ტექნოლოგიური უბნებისთვის, 85-მა ტრენერმა ტრენინგების ჩატარება უზრუნველყო ტრადიციული უბნებისთვის.

- პროგრამა - საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, რომლებიც კენჭისყრის პროცესს წარმართავენ საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენებით;
- პროგრამა - საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, რომლებიც კენჭისყრის პროცესს წარმართავენ საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების გარეშე.

ტრენერთა ტრენინგის მონაწილეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შესასრულებელი საქმიანობებისა და იმ სტანდარტების შესახებ, რომელთა ერთგვაროვნად შესრულება არსებითია ამომრჩევლებისთვის სერვისების განხორციელების მიზნით. სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა: თითოეული ამომრჩევლისთვის თანაბარი და ხელმისაწვდომი საარჩევნო სერვისები; ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა; არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა და მხარდაჭერა; პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვების პირობების უზრუნველყოფა; საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები (კანონიერება, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, პროფესიონალიზმი); ეთიკის ნორმები და საუბნო საარჩევნო კომისიის მანდატის ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებები.

სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგები კომბინირებული სწავლების მეთოდოლოგიით განხორციელდა. გათვალისწინებული იყო სიმულაციები და როლური თამაშები საარჩევნო ელექტრონული აპარატების მართვის, ხმის მიცემის პროცედურული ასპექტების, ხმების დათვლის პროცესის წარმართვის გაანალიზება-შესწავლის მიზნით. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების წესის სწავლებასთან დაკავშირებით პრაქტიკული სავარჯიშოები მაქსიმალური დატვირთვით წარიმართა.

მიმდინარე წლის 21 აგვისტოდან - 26 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 279-მა ტრენერმა, 73 საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიაზე, ჯამურად უზრუნველყო 6 433 სატრენინგო სესიის ჩატარება.

საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცედურული სპეციფიკების გათვალისწინებით:

- 2 284-მა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ტრენინგები გაიარეს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის წარმართვის პროცედურებთან დაკავშირებით (ხუთი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 4 970 სატრენინგო სესია);
- 767-მა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა დეტალური ინსტრუქტაჟი მიიღეს ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის განხორციელების რეგულაციებზე (ოთხი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 1 453 სატრენინგო სესია);
- პენიტენციურ დაწესებულებებში გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 10 საუბნო

საარჩევნო კომისიის წევრები გადამზადდნენ შესაბამის პროცედურულ საკითხებზე (ერთი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 10 სესია).

სატრენინგო პროგრამების ფარგლებში საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები და წევრები დეტალურად გაეცნენ ამომრჩევლებისთვის კვალიფიციური სერვისის მისაწოდებლად შესაბამისი ფუნქციების შესრულების ტექნიკას, მათ შორის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერის ჭრილში. საარჩევნო კომისიის საქმიანობის განხილვისას ყურადღება გამახვილდა საარჩევნო ადმინისტრატორების მნიშვნელოვან როლსა და პასუხისმგებლობაზე, რაც უკავშირდება თითოეული ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფას, არჩევანის ფარულობის და ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვას.

ინტენსიური სწავლება დაეთმო მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა:

- ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმების/ცვლილებების შეტანის სერვისი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის სერვისი;
- ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის კენჭისყრაში მონაწილეობის ხელშეწყობის სერვისი;
- სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოების წესი, საქმისწარმოების მიზნით შემუშავებული აქტების/ფორმების სტრუქტურა და მათი შევსების წესი;
- მზადება კენჭისყრის დღისთვის - კენჭისყრის პროცესის ლოგისტიკური უზრუნველყოფა, კენჭისყრის შენობის მოწყობა, კენჭისყრის პროცესის ადმინისტრირებისთვის საუბნო საარჩევნო  კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების პროცედურა;
- არჩევნების ადმინისტრირების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების/წევრების როლი, უფლებამოსილებები და პროფესიული სტანდარტები;
- კენჭისყრის პროცესში ინტეგრირებული საარჩევნო ელექტრონული საშუალებების გამოყენებით და მის გარეშე საარჩევნო უბანზე ამომრჩევლისთვის მისაწოდებელი სერვისები;
- კენჭისყრის მიმდინარეობისას პროცედურული რისკების პრევენცია და მართვა;
- საარჩევნო უბანზე საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების და დათვლის პროცედურა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის ტექნიკა და საჯაროობა;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრებზე რეაგირება.

სასწავლო შედეგზე ორიენტირებით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა, საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შეჯამების ჩათვლით, ყველა პროცედურულ საკითხზე სპეციალიზებული ცოდნა მიიღეს ეტაპობრივად, თემატურად შედგენილი პროგრამების ფარგლებში. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა იხილეთ ცხრილში (5).

ᲪᲮᲠᲘᲚᲘ 5. ᲡᲐᲣᲑᲜᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

| | | |
|---|---|---|
| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართა** | | |
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I** ეტაპი<br>21.08.2025-22.08.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 852<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 090<br>დასწრების კოეფიციენტი – 74% |
| **II** ეტაპი<br>22.08.2025-24.08.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 4 568<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 3 454<br>დასწრების კოეფიციენტი – 76% |
| **III** ეტაპი<br>25.08.2025-26.08.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 852<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 6 254<br>დასწრების კოეფიციენტი – 91% |
| **IV** ეტაპი<br>30.08.2025-09.09.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობა (გარდა კომისიის მდივნისა) და სპეცჯგუფის წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 23 547<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 19 378<br>დასწრების კოეფიციენტი – 82% |
| **V** ეტაპი<br>7.09.2025-14.09.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 852<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 6 455<br>დასწრების კოეფიციენტი – 94% |
| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა** | | |
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I ეტაპი**<br>29.08.2025-30.08.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 2 301<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 1 711<br>დასწრების კოეფიციენტი – 74% |
| **II ეტაპი**<br>9.09.2025-20.09.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები. | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 7 088<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 781<br>დასწრების კოეფიციენტი – 81% |
| **III ეტაპი**<br>21.09.2025-22.09.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 2 301<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 2 121<br>დასწრების კოეფიციენტი – 92% |
| **IV ეტაპი**<br>23.09.2024 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 2 301<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 2 116<br>დასწრების კოეფიციენტი – 92% |

| ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები (კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა) | | |
|---|---|---|
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I ეტაპი** 26.09.2025 | საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) და წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 91<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 82<br>დასწრების კოეფიციენტი – 90% |

ცესკომ და სწავლების ცენტრმა 2025 წლის 13 მაისიდან 29 მაისის პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით სასწავლო პროექტი **„საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“** განახორციელა. პროგრამა მიზნად ისახავდა საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური საკადრო რესურსის გადამზადებას, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კვალიფიციური საარჩევნო ადმინისტრატორების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

სასწავლო კურსი თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით პირისპირ ფორმატში განხორციელდა. მონაწილეები, ამომრჩევლის სერვისზე ორიენტირებით, დეტალურად გაეცნენ საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის პრაქტიკულ ასპექტებს, მათ შორის, სატრენინგო რეჟიმში განახორციელეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების და კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემების გადაცემისთვის განკუთვნილი პლანშეტური კომპიუტერების მართვა. ამასთან, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნების პროცედურული სპეციფიკის გათვალისწინებით, საარჩევნო ბიულეტენების დათვლის და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის პროცესის პრაქტიკაში ტრანსფორმაციის მიზნით, მონაწილეების უშუალო ჩართულობით ჩატარდა აღნიშნული პროცედურების მოდელირება.

სასწავლო პროექტის იმპლემენტაციას წინ უძღოდა პროექტის განმახორციელებელი ტრენერების გადამზადება. სწავლების ცენტრმა პროექტისთვის შემუშავებული პროგრამის მიხედვით სპეციალიზებული ინსტრუქტაჟი ჩაუტარა 231 ტრენერს, ამასთან, 65-მა ტრენერმა დამატებით გაიარა პროფილური სასწავლო პროგრამა „ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება“, რაც მიზნად ისახავდა კვალიფიციური რესურსით ტრენერთა კორპუსის გაძლიერებას და სასწავლო პროექტის მასშტაბის ზრდას.

სასწავლო პროექტი 64 მუნიციპალიტეტში ჩატარდა, მასში მონაწილეობა მიიღო 10 079-მა მოქალაქემ. ბენეფიციართაგან სრული კურსის გავლისთვის სერტიფიკატი გადაეცა 9 317 პირს. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 1 555-მა წარმომადგენელმა (ქალი-1 405; კაცი-416). სრული კურსის გავლის სერტიფიკატი გადაეცა 1 405 პირს (ქალი-1 084; კაცი-321).

სასწავლო პროექტის **„საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“-ის** მონაწილეთა სწავლების შედეგის დადებითი შეფასებების მიღება ცხადყოფს, რომ კურსმა ძალიან კარგად და პროდუქტიულად ჩაიარა.

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 8. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ - ᲕᲔᲠᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ




ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 9. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ - ᲮᲛᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ



ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 10. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ - ᲞᲚᲐᲜᲨᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ




- სამივე სახეობის ელექტრონული აპარატის მართვის კომპონენტში უმაღლესი შეფასება („დიახ“) მიენიჭა 4 931 მონაწილეს;
- სამივე სახეობის ელექტრონული აპარატის მართვის კომპონენტში დაბალი შეფასება („არა“) მიენიჭა 220 მონაწილეს (2.3%).

*კითხვაზე „სასწავლო კურსი იყო ინფორმატიული (მიღებული ცოდნა დამეხმარება შესაბამის დარგში საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელებაში)“ - პასუხი „დიახ“ დააფიქსირა 8 776-მა მონაწილემ (99.79%).*

*ამონარიდი მონაწილეთა კომენტარებიდან:*

- *მიღებული ცოდნა დამეხმარება შესაბამისი საქმიანობის დროს.*
- *ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე ტრენერის დახმარებით.*
- *საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეებს გავეცანი.*
- *ტრენინგი იყო ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი.*
- *სასწავლო მასალა მოთხრობილი და გადმოცემული იყო არაჩვეულებრივი ოსტატობით.*
- *მივიღე ამომწურავი ინფორმაცია.*

***მონაწილეთა მიერ კურსის შეფასება***

*კითხვაზე „სასწავლო კურსი იყო ინფორმატიული (მიღებული ცოდნა დამეხმარება შესაბამის დარგში საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელებაში)" - პასუხი „დიახ" დააფიქსირა 8 776-მა მონაწილემ (99.79%).*

*ამონარიდი მონაწილეთა კომენტარებიდან:*

- *მიღებული ცოდნა დამეხმარება შესაბამისი საქმიანობის დროს.*
- *ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე ტრენერის დახმარებით.*
- *საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეებს გვაწვდიდნენ.*
- *ტრენინგი იყო ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი.*
- *სასწავლო მასალა მოთხრობილი და გადმოცემული იყო არაჩვეულებრივი ოსტატობით.*
- *მივიღე ამომწურავი ინფორმაცია.*

**მონაწილეთა მიერ კურსის შეფასება**

*კითხვაზე „შევიძინე საარჩევნო ელექტრონულ აპარატებთან მუშაობის პრაქტიკული უნარები" - პასუხი „დიახ" დააფიქსირა 8 765-მა მონაწილემ (99.67%).*

*ამონარიდი მონაწილეთა კომენტარებიდან:*

- *განვიმტკიცე აპარატთან მუშაობის უნარები.*
- *საარჩევნო აპარატთან მუშაობა აღარ წარმოადგენს სტრესს.*
- *თეორიულად გადმოცემული რეკომენდაციების შემდეგ ინდივიდუალურად გავიარეთ ყველა პრაქტიკული ნიუანსი აპარატებთან.*
- *ძალიან კმაყოფილი ვარ ჩატარებული ტრენინგით, ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ.*
- *პრაქტიკულად ყველა წვრილმანი გავიარეთ ინდივიდუალურად.*

**მონაწილეთა მიერ კურსის შეფასება**

*კითხვაზე „ტრენერმა კურსი ჩაატარა კვალიფიციურად (ინფორმაცია გადმოცემული იყო მარტივ ენაზე, ამომწურავად, მივიღე კითხვებზე პასუხები)" - პასუხი „დიახ" დააფიქსირა 8 780-მა მონაწილემ (99.8 %).*

*ამონარიდი მონაწილეთა კომენტარებიდან:*

- *ტრენერი არის ძალიან კომუნიკაბელური, განათლებული, მისი ტრენინგი არის მეტად ინფორმაციული და ყოვლისმომცველი.*
- *გადმოცემა იყო მარტივი და გასაგები.*
- *ტრენერი აქცენტებს აკეთებს ისეთ დეტალებზე, რაც პრაქტიკაში ყველაზე მეტად პრობლემურია ხოლმე. დეტალებზე ორიენტირებული, გადმოცემის უნარი.*
- *სწავლება იყო საინტერესო, ინფორმატიული, არ დამრჩენია გაურკვეველი არაფერი.*
- *ტრენერმა კურსი კვალიფიციურად ჩაატარა. კითხვებზე პასუხები იყო ამომწურავი და გასაგები.*
- *მადლობა ნაყოფიერი, საინტერესო და ამომწურავი*

**მონაწილეთა მიერ კურსის შეფასება**

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განაახლა საჯარო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო-სასწავლო კურსი - **„საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი - საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“,** რომელიც ითვალისწინებდა საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას საჯარო უწყებებში ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი/სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების პრევენციის მიზნებისთვის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. პროგრამა გაიარა 1 573-მა პირმა, სერტიფიკატი აიღო 1 520-მა პირმა (97%), საინფორმაციო-სასწავლო კურსი მომზადდა დისტანციურ ფორმატში და განთავსდა ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე[4]. აღნიშნული რესურსი საჯარო მოსამსახურეებს, ასევე, სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შეუზღუდავად ანიჭებდა თემატურ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას. კურსში განხილული იყო შემდეგი ძირითადი მოდულები:

- საჯარო მოსამსახურეების როლი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების პროცესში;
- საჯარო მოსამსახურის უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესებში;
- საჯარო მოსამსახურის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოება, აგიტაციაში მონაწილეობა - დაშვებები და შეზღუდვები;
- საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება - დაშვებები და შეზღუდვები;
- საერთაშორისო სტანდარტები საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვებთან დაკავშირებით;
- საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და დარღვევებზე რეაგირება.

ელექტრონულ სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებულია ტექსტური დავალებების ბლოკი, რომელიც ქმნის, თემატურ საარჩევნო საკითხებზე, ცოდნის გადამოწმების დამატებით რესურსს. ტესტირების პროცესის წარმატებით გავლის შემდგომ მომხმარებელი იღებს ელექტრონულ სერტიფიკატს.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებზე დასწრების დაბალი მაჩვენებლით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა დამატებით განახორციელა სასწავლო კურსი **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“.** კურსი ეფუძნებოდა საქართველოს კანონმდებლობასა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას და მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა:

4. https://electiontraining.cec.gov.ge/

- შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტი;
- ქცევის ნორმები და მათი არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის დანერგილი სერვისები.

საინფორმაციო-სასწავლო კურსი დისტანციურ ფორმატში მომზადდა და განთავსდა ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე[5]. აღნიშნული რესურსი საარჩევნო ადმინისტრატორებს, ასევე, სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შეუზღუდავად ანიჭებდა თემატურ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას. ელექტრონულ სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებული ტექსტური დავალებების ბლოკი ქმნის თემატურ საარჩევნო საკითხებზე ცოდნის გადამოწმების დამატებით რესურსს. ტესტირების პროცესის წარმატებით გავლის შემდგომ მომხმარებელი იღებს ელექტრონულ სერტიფიკატს. პროგრამა სულ გაიარა 514-მა პირმა, სერტიფიკატი აიღო 474-მა პირმა (92%).

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა ეტაპზე უზრუნველყოფდა ამომრჩევლებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას. ეფექტიანი და მყისიერი კომუნიკაციის პლატფორმის ფარგლებში, მოქალაქეებს უწყვეტ რეჟიმში ემსახურებოდა ცესკოს კონტაქტ-ჰაბი. მანდატის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სწავლების ცენტრმა **საინფორმაციო-სასწავლო შეხვედრები ჩაატარა ცესკოს კონტაქტ-ჰაბის ოპერატორებთან,** მოახდინა მათი პროფილური და თემატური გადამზადება. 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მოსამზადებელ ფაზაზე, ოპერატორების პროფილური გადამზადება ორ ეტაპად განხორციელდა:

- I ეტაპი (27 აგვისტო) - მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია კენჭისყრაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ამომრჩევლებისთვის დანერგილ საარჩევნო სერვისებზე;
- II ეტაპი (27 სექტემბერი) - მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელ საქმიანობაზე და იმ სტანდარტების შესახებ, რომლის ერთგვაროვანი შესრულება არსებითია ამომრჩევლებისთვის კვალიფიციური სერვისის მიწოდების პროცესში.

სწავლების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილების შეტანის ხელშეწყობის სერვისი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანის სერვისი;
- ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის კენჭისყრაში მონაწილეობის ხელშეწყობის სერვისი;
- ამომრჩევლებისთვის თანაბარი და ხელმისაწვდომი საარჩევნო სერვისების მიწოდება;
- ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა;

5. https://electiontraining.cec.gov.ge/

- არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა და მხარდაჭერა;
- პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვების პირობების უზრუნველყოფა;
- კენჭისყრის წინასწარი შედეგების და შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა.

არჩევნებისთვის მოსამზადებელი ფაზის ფარგლებში, ცესკოს კონტაქტ-ჰაბის ოპერატორები თემატურ საკითხებზე ეტაპობრივად გადამზადდნენ. აღნიშნული სასწავლო კურსი გაიარა 7-მა მონაწილემ.

ასევე აღსანიშნავია, რომ **ცესკოს აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა უზრუნველყო კონტაქტ-ჰაბის ოპერატორების გადამზადება** საარჩევნო დავების შესახებ თემატიკაზე.

შეხვედრაზე განხილული იყო შემდეგი მნიშვნელოვანი თემები:
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივარი და მათზე რეაგირება;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის განხილვა/გადაწყვეტილების მიღება;
- მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება;
- საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებული საკითხები;
- საჩივრების რეესტრი;
- სტრესული სიტუაციების მართვა.

პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შეცვლას ჰქონდა ადგილი, თუმცა, ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ამ ცვლილებებით რისკ ფაქტორი არ დამდგარა. აღნიშნულის გადაზღვევა მოხდა დამატებითი ეტაპის ტრენინგების ჩატარებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კომისიების იმ წევრებმა, რომლებიც შეიცვალნენ ძირითადი სატრენინგო ფაზის მიმდინარეობისას.

**ამოცანის 4.2 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგი**

**ამოცანა 4.2. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

**4.2.1.** სერტიფიცირებულ პირთა კუმულატიური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით (1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირება; 2. საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირება; 3. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სერტიფიცირება).

2025 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო რეფორმისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეებით დაკომპლექტების სტრატეგიული ამოცანის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა, საუბნო საარჩევ-ნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების სასერტიფიკაციო გამოცდების ციკლი ჩაატარა. სერტიფიცირების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

2025 წელს სერტიფიცირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით დადგინდა ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა ტიპის სერტიფიცირებაზე ერთდროულად რეგისტრაციისა და სერტიფიცირების ჩატარების შესაძლებლობას. ამ მიზნით შემუშავდა დეტალური ტექნიკური დავალება და განისა-ზღვრა სამუშაოების შესრულების ვადები. შეიქმნა სერტიფიცირების მართვის პანელი, რო-მელმაც გააერთიანა გამოცდების, ტესტების, მონაწილეების, პარამეტრებისა და პიროვ-ნების მართვის ფუნქციონალი. პარალელურად განხორციელდა დამატებითი მოდულების შემუშავება და შექმნილი ფუნქციონალის ტესტირება.

პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის პარალელურად განხორციელდა სერტი-ფიცირების პროცესისთვის გამოყოფილი 37 დარბაზის ტექნიკური გამართვა. ჩატარდა ინფრასტრუქტურის დეტალური შესწავლა და იდენტიფიცირდა პრობლემური დარბაზები. მომზადდა დაქსელვისთვის საჭირო მასალების, ტექნიკური აღჭურვილობისა და აქსე-სუარების ჩამონათვალი, შემუშავდა მათი ტექნიკური აღწერილობები და შესყიდვების განხორციელების მიზნით გადაეგზავნა პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს. დაი-გეგმა დაქსელვის სამუშაოები და შემუშავდა შესაბამისი გრაფიკი, რის შედეგადაც დარჩა მხოლოდ ერთი საგამოცდო ცენტრის დაქსელვა.

დაზუსტდა და აღირიცხა საჭირო პორტატული კომპიუტერის რაოდენობა, შეიქმნა ერ-თიანი სისტემური იმიჯი და განხორციელდა პორტატული კომპიუტერის გამართვა, რაც მოიცავდა ოპერაციული სისტემის ინსტალაციას, შემდგომ ტექნიკურ ტესტირებასა და მოწყობილობების გამართულობის დადასტურებას. დასრულდა პორტატული კომპი-უტერების გამართვა და განხორციელდა ტექნიკის – მათ შორის პორტატული კომ-პიუტერების, პრინტერების, ქსელური მოწყობილობებისა და UPS-ების – განაწილება შესაბამის ლოკაციებზე. ყველა ეტაპი დეტალურად დოკუმენტირდა და შემდგომ განხორ-ციელდა დამატებითი ოპერაციული ღონისძიებები.

2025 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა შექმნა სერტიფიცირების იმიტირებული გამოცდის ელექტრონული პლატფორმა[6], სისტემას დაემატა იმიტირებული გამოცდის მოდული, ახალი ინიციატივის ფარგლებში, სერტიფიცირების გამოცდებისთვის მზადე-ბის ხელშეწყობისა და დაინტერესებული პირების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის

6. სერტიფიცირების იმიტირებული გამოცდის ელექტრონული პლატფორმა იხილეთ ბმულზე: https://training.cec.gov.ge/simulated-exam

ცოდნის გადამოწმების მიზნით. აღნიშნული პლატფორმა მომხმარებელს აძლევდა შესაძლებლობას, დროსა და სივრცეში შეუზღუდავად ენახა პროგრამა და გაევლო შესაბამისი ტესტური დავალებები. იმიტირებული გამოცდის მოდულით ნებისმიერ მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა, რეალური გამოცდის მსგავს გარემოში ჩაებარებინა იმიტირებული გამოცდა. შესაბამისად, პლატფორმის პროგრამული ვიზუალი ემთხვეოდა რეალური გამოცდის ფორმატს. იმიტირებულ გამოცდაზე გამოყენებული იყო რეალური გამოცდისთვის განკუთვნილი ტესტები, მათ შორის, ნათარგმნი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ტესტების გასაცნობად/გადმოსაწერად ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსებული იყო ბლოკი „ტესტები".

დაინტერესებულ პირებს პლატფორმაზე შეეძლოთ შეერჩიათ მათთვის სასურველი იმიტირებული სერტიფიცირების გამოცდა, კატეგორიების შესაბამისად:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასერტიფიკაციო გამოცდა.

სასწავლო მიზნებისთვის, იმიტირებული გამოცდის დასრულებისას მომხმარებელს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა იმიტირებული გამოცდის შედეგებს და მიეღო ინფორმაცია არასწორად გაცემული ან პასუხგაუცემელი ტესტების შესახებ.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა 2025 წლის 2-13 ივნისის პერიოდში სერტიფიცირების გამოცდების ციკლი განახორციელა. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 2-3 ივნისის პერიოდში. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი სავალდებულოა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და საოლქო საარჩევნო კომისიაში შესაბამის პოზიციებზე ასარჩევად/დასანიშნად. აღნიშნული სერტიფიკატი ვალიდურია ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში ხელმძღვანელი პირის და წევრის პოზიციისთვის.

მიმდინარე წლის 4-13 ივნისის პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისიების კვალიფიციური წევრებით დაკომპლექტების ხელშეწყობის მიზნით, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო რეფორმის შესაბამისად, განახორციელეს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა სერტიფიცირების გამოცდების მასშტაბური პროექტი. მოქალაქეებს, რომლებმაც გამოცდა წარმატებით ჩააბარეს, მიენიჭათ შესაბამისი სერტიფიკატი, რომლის ფლობა კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულოა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა პოზიციაზე ასარჩევად.

მსურველ პირთა საგამოცდო პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 37 საგამოცდო ცენტრში: თბილისი (4 ლოკაცია), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი,

სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი და ხულო. გამოცდის ჩაბარების მსურველ მოქალაქეთა სერვისზე ორიენტირებით, საგამოცდო ტესტები პროაქტიულად გასაჯაროვდა ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე[7]. აღნიშნული ტესტები უცვლელი ფორმით იქნა გამოყენებული გამოცდების ჩატარებისას.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა გამოცდა, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა გამოცდები, ასევე, ჩატარდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საგამოცდო ტესტების გამოყენებით.

სერტიფიცირების გამოცდები წარიმართა ელექტრონული ტესტირების მეთოდით და მისი ხანგრძლივობა შეადგენდა ერთ საათს. თითოეული გამოსაცდელისთვის, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი. სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა. 2025 წელს ჩატარებული სერტიფიცირების გამოცდების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (6).

ცხრილი 6. 2025 წელს ჩატარებული სერტიფიცირების გამოცდების შედეგები

| **გამოცდის სახეობა** | **რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა** | **გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა** | **სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა** |
|---|---|---|---|
| საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა გამოცდა | 640 (ქალი - 443, კაცი - 197) | 456 (ქალი - 317, კაცი - 139) | 381 (84%) (ქალი-273, კაცი-108) |
| საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების გამოცდა | 2705 (ქალი - 2214, კაცი - 491) | 2099 (ქალი - 1754, კაცი - 345) | 2057 (98%) (ქალი-1713, კაცი-344) |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გამოცდა | 2227 (ქალი - 1800, კაცი - 427) | 1618 (ქალი - 1363, კაცი - 255) | 1603 (99%) (ქალი-1351, კაცი-252). |

სომხურ ენაზე ნათარგმნი ტესტების გამოყენებით სერტიფიცირების გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა გამოცდა - ჩააბარა ორმა მოქალაქემ (გამოცდაზე სერტიფიცირებულ პირთაგან 0.5%).
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა გამოცდა - ჩააბარა 17-მა მოქალაქემ (გამოცდაზე სერტიფიცირებულ პირთაგან 0.8%).
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გამოცდა - ჩააბარა 28 მოქალაქემ (გამოცდაზე სერტიფიცირებულ პირთაგან 1.7%).

7. სწავლების ცენტრის ვებგვერდი იხილეთ ბმულზე: https://registrations.cec.gov.ge/download-tests

აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი ტესტების გამოყენებით სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების სტატისტიკა:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა გამოცდა - ჩააბარა ერთმა მოქალაქემ (გამოცდაზე სერტიფიცირებულ პირთაგან 0.04%).

სერტიფიცირების გამოცდები საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური გაძლიერების სტრატეგიულ პრიორიტეტს ეხმიანება, ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრებისთვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). თარგმნილი ორენოვანი ტესტები (ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული) უცვლელი ფორმით იქნა გამოყენებული სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას.

სწავლების ცენტრმა 2025 წლის 4–13 ივნისის პერიოდში უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება. საგამოცდო პროცესმა ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას. სერტიფიცირების პროცესში უცვლელი ფორმით გამოყენებულ იქნა ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული საგამოცდო ტესტები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

**საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდა ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 9 მუნიციპალიტეტში არსებულ საგამოცდო ცენტრებში:** (თელავი, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა). გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა იყო 592 მონაწილე, გამოცდაში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა – 415, ხოლო გაცემული სერტიფიკატების რაოდენობა იყო – 413.

9-13 ივლისის პერიოდში ჩატარდა **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდა, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 9 მუნიციპალიტეტში არსებულ საგამოცდო ცენტრებში:** (თელავი, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა). გამოცდაზე რეგისტრირებულ

პირთა რაოდენობამ შეადგინა 373 პირი, გამოცდაში რეგისტრირებულთა რაოდენობა იყო - 228, ხოლო გაცემული სერტიფიკატების რაოდენობამ შეადგინა – 226 სერტიფიკატი.

2025 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა სერტიფიცირების ახალი პროგრამა, რის ფარგლებშიც განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სერტიფიცირების პროგრამის სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ტესტების მომხმარებელთა აღრიცხვის შესაძლებლობის შექმნა. 2025 წლის ივნისის თვეში საქართველოს მასშტაბით 37 ლოკაციაზე ჩატარდა სერტიფიცირების გამოცდა. პროგრამას დაემატა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ტესტების არჩევის შესაძლებლობა. სომხურ ენაზე ნათარგმნი ტესტების გამოყენებით სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარა 47-მა მოქალაქემ, ხოლო აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი ტესტების გამოყენებით, სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარა ერთმა მოქალაქემ. სულ ჯამში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე შევსებული ტესტების რაოდენობამ შეადგინა 48.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სერტიფიცირების მიმართ მოქალაქეების დაბალი ინტერესით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ტექნოლოგიური განვითარება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან;
- ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში.

### მიზანი 5. საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ამოცანა | ამოცანის შედეგის 1 ინდიკატორი | 1 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 1 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ერთი ამოცანის შესრულება:

**5.1** საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია.

დაგეგმილი ერთი აქტივობა სრულად განხორციელდა. აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (11).

დიაგრამა (11). ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით




**ამოცანის 5.1 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 5.1. საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
**5.1.1.** ჩატარებული არჩევნების შეფასება

2023 და 2024 წლებში ჩატარებული არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებით 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის განისაზღვრა ლოგისტიკის პროცესის მიზნები, ამოცანები, მართვის სტრუქტურა, აუცილებელი მატერიალური თუ ადამიანური რესურსი. ჩამოყალიბდა ლოგისტიკის პროცესის მართვის ცენტრალიზებული სისტემა, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი კომპეტენციების თავმოყრა მოხდა ცესკოს აპარატის დონეზე, ხოლო, საარჩევნო ოლქებისა და უბნების როლი და პასუხისმგებლობები წინასწარ იქნა განსაზღვრული. ასევე, წინასწარ განისაზღვრა ინვენტარის, მასალებისა და ელექტრონული მოწყობილობების ცესკოს საწყობიდან საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის მასალების მიწოდების ოთხი ეტაპის ნაცვლად განისაზღვრა ექვსი ეტაპი, რომელსაც სრულად უნდა დაეფარა არჩევნების საჭიროებები. შერჩეული იქნა გადამზიდი კომპანია, რომელმაც უზრუნველყო გადაზიდვები ცესკოს სასაწყობო საოპერაციო სივრციდან საოლქო საარჩევნო კომისიების სასაწყობო სივრცეებში და საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ მასალების უკუდისტრიბუცია. დაზუსტდა მასალების ტრანსპორტირების სტანდარტი, რომელიც წინასწარ შეთანხმდა გადამზიდი კომპანიის წარმომადგენლებთან.

2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელებული ლოგისტიკური პროცესის შეფასება/ანალიზის მიზნით ჩატარდა აღნიშნულ პროცესში ჩართული პირების, საოლქო საარჩევნო კომისიების საწყობებზე პასუხისმგებელი წევრების, თავმჯდომარეებისა და საწყობის მენეჯერების გამოკითხვა და ცენტრალურ დონეზე ლოგისტიკის პროცესზე

პასუხისმგებელი პირების მიერ 2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობის შეფასება. ერთი მხრივ, 2025 წელს განხორციელებული საქმინობების ეფექტინობის შეფასებისა და მეორე მხრივ გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა ლოგისტიკის პროცესის ძლიერი მხარეები და ის მიმართულებები, რომლებიც შემდგომში საჭიროებენ გაუმჯობესებას. აღნიშნულზე დაყრდნობით კი შემუშავდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის პროცესის ანგარიში.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არჩევნებთან ახლო ვადაში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## მიზანი 6. ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის 5 ინდიკატორი | 5 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 12 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

**6.1** კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით;

**6.2** ელექტრონული სერვისების განვითარება;

**6.3** ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა.

დაგეგმილი აქტივობებიდან ყველა განხორციელდა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (12).

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 12. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ



**ამოცანის 6.1 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 6.1. კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
**6.1.1.** საარჩევნო უბნების რაოდენობა, სადაც გამოყენებული იყო ტექნოლოგიები

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კომპანიასთან „Smartmatic“ გაფორმებული კონსოლიდირებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2023-2025 წლების განმავლობაში მოწოდებული იქნა 4 948 ცალი ხმის მთვლელი აპარატი და 7 571 ცალი ვერიფიკაციის აპარატი. არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე, დაიწყო ელექტრონული აპარატების პროგრამული მომზადება. პროგრამულად მომზადების პროცესში, ელექტრონული ტექნოლოგიების გუნდისათვის აპარატების მიწოდების, აღრიცხვის და ტრანსპორტირებისათვის მომზადების პროცესი უზრუნველყო საფინანსო დეპარტამენტის ლოგისტიკის განყოფილებამ.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიები აღიჭურვა საჭირო ტექნიკით. განხორციელდა დამატებით შესყიდული ელექტრონული აპარატებისა და სხვა საჭირო სახარჯი მასალების აღრიცხვა და პროგრამაში ასახვა. 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის საწყობში დამატებული და მიღებული მასალების სახეობები და რაოდენობა იხილეთ ცხრილი (7):

ცხრილი 7. 2025 წელის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამატებით შესყიდული მასალები

| ელექტრონული ტექნიკის სახეობა | რაოდენობა |
|---|---|
| ხმის დათვლის სპეციალური აპარატი (PCOS) | 450 ერთეული |
| ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი (VIU) | 450 ერთეული |
| ძირითადი საარჩევნო ყუთი | 450 ერთეული |
| ძირითადი საარჩევნო ყუთის თავსახური | 550 ერთეული |
| ქსელის მარშრუტიზატორი (ROUTER) | 950 ერთეული |
| პლანშეტური კომპიუტერი | 50 ერთეული |
| ქსელის სადენი | 3 303 ერთეული |
| თერმული ქაღალდი | 56 864 ერთეული |
| სპეციალური ლუქი | 99 743 ერთეული |
| მარკირების კალამი | 156 594 ერთეული |

საერთო ჯამში 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის გამოყენებული ელექტრონული ტექნიკის საჭირო რაოდენობა და საოლქო საარჩევნო კომისიების საწყობებში ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილი (8).

ცხრილი 8. ელექტრონული ტექნიკის საჭირო რაოდენობა და საოლქო საარჩევნო კომისიების საწყობებში ტრანსპორტირება

| ელექტრონული ტექნიკის სახეობა | რაოდენობა | მიწოდების ვადები |
|---|---|---|
| ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი (VIU) | 7 571 | 26 – 29 სექტემბერი |
| ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატი (PCOS) | 4 948 | 20 – 23 სექტემბერი |
| პლანშეტური კომპიუტერი | 3 061 | 23 – 24 სექტემბერი |

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებში - 1 438 116 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. არჩევნებისთვის ფუნქციონირებდა 3 051 საარჩევნო უბანი, რომლებიც აღჭურვილი იყო მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისად. 2 274 საარჩევნო უბანზე არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, შესაბამისად ეს საარჩევნო უბნები მოეწყო და აღიჭურვა საჭირო ელექტრონული მოწყობილობებით, ხოლო 777 უბანზე არჩევნები ჩატარდა ტრადიციული წესით, დამატებით 10 სპეციალური საარჩევნო უბანი ფუნქციონირებდა პენიტენციურ დაწესებულებებში.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ისევე, როგორც 2024 წლის 26 ოქტომბრის და 2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებისთვის, ცესკომ უზრუნველყო საარჩევნო ტექნოლოგიების შესაბამისობის აუდიტის ჩატარება. აუდიტი, მოკვლევის შედეგად გამოვლენილი, საარჩევნო ტექნოლოგიების ტესტირების ლაბორატორია „Pro V&V"-მ ჩაატარა, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა მრავალწლიანი გამოცდილება და იმ ორი კომპანიიდან ერთ-ერთი იყო, რომელსაც გააჩნდა ამერიკაში შესაბამისი ინსტიტუციების სათანადო აკრედიტაცია.

საარჩევნო ადმინისტრაციას მნიშვნელოვნად მიაჩნდა, საარჩევნო ტექნოლოგიების შესაბამისობის აუდიტის განხორციელებით, გაეთვალისწინებინა საერთაშორისო კარგი პრაქტიკა და საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ამომწურავი ინფორმაცია ელექტრონული საშუალებების მუშაობის პრინციპებზე, უსაფრთხოებასა და დაცულობის სტანდარტებზე.

შესაბამისობის აუდიტი განხორციელდა სამ ეტაპად:

**პირველ ეტაპზე:**
- კომპანიამ შეისწავლა ელექტრონული ტექნოლოგიების საწყის კოდში განხორციელებული ცვლილებები.

**მეორე ეტაპზე:**
- „Pro V&V"-ის წარმომადგენლები უშუალოდ დააკვირდნენ ელექტრონული მოწყობილობების საარჩევნოდ მომზადების პროცესს ცესკოს საოპერაციო სასაწყობე სივრცეში.

**მესამე ეტაპზე:**
- „Pro V&V"-ის წარმომადგენლები აპარატურის მუშაობას დააკვირდნენ უშუალოდ კენჭისყრის დღეს.

2025 წლის 6 ოქტომბერს ცესკოს თავმჯდომარემ და ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა აუდიტორულ კომპანია "Pro V&V"-სთან, სადაც კომპანიამ წარადგინა საარჩევნო ტექნოლოგიების შესაბამისობის აუდიტის სამივე ეტაპის შედეგები[8] და გაუზიარა ინფორმაცია აუდიტის მიგნებების შესახებ. აუდიტმა დაადასტურა, რომ საარჩევნო ელექტრონული აპარატები მუშაობდა გამართულად. დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებზე ჩატარებული დაკვირვება წარმატებით დასრულდა და „Pro V&V-ს" პრობლემები არ გამოუვლენია.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აუდიტის მიმდინარეობისას შემოწმდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები (VIU Desktop 818-100), ხმების დათვლის სპეციალური ელექტრონული მოწყობილობები (PCOS SAES-1800Plus) და ტაბლეტ-კომპიუტერები (Lenovo Tab K11). Pro V&V დააკვირდა არჩევნების ჩატარების პროცესს, კერძოდ საარჩევნო უბნების კომისიის წევრებს, უბნის ტექნიკურ პერსონალს (რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აპარატების ტექნიკურ მხარდაჭერაზე), ასევე თავად ამომრჩევლებს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის პერსონალთან დაკავშირებით, აუდიტი ფოკუსირებული იყო არჩევნების დღისთვის მათი მზადყოფნის შეფასებაზე, ხოლო ამომრჩევლების შემთხვევაში ყურადღება გამახვილდა ხმის მიცემის აპარატებით სარგებლობაზე.

საწყისი კოდის რევიზიისა[9] და კონფიგურაციის აუდიტის[10] შედეგად დადგინდა, რომ:
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებისთვის საჭირო მოწყობილობების კონფიგურაციისთვის წარმატებით განახორციელა პროცედურები, რომლებიც ადრე ჩატარებული პილოტისა და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული არჩევნების ფარგლებში გამოიყენებოდა;

8. შესაბამისობის აუდიტის სამივე ეტაპის შედეგები იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/ujim0
9. საწყისი კოდის მიმოხილვის დასკვნა იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/static/file/202510033509-sealed-source-code-review-report-rge-2025-00-1.pdf
10. კონფიგურაციის აუდიტის დასკვნა იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/static/file/202510033502-sealed-configuration-audit-report-rge-2025-00.pdf

- ცესკომ წარმატებით დანერგა კონფიგურაციის პროცესის ხარისხის მონიტორინგის პროგრამა;
- არჩევნების ჩასატარებლად საჭირო მოსამზადებელი პროცესები, პროცედურები და შემოწმებები იყო შესაფერისი და პერსონალი კარგად იყო მომზადებული;
- ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის პირადი ნომერი არ არის დუბლირებული და ერთი ამომრჩეველი მხოლოდ ერთხელ არის სიაში შეყვანილი;
- ცესკოს სერვერებზე არსებული ამომრჩეველთა სიები შესაბამისობაშია აპარატში ჩატვირთულ სიებთან;
- ვერიფიკაციის აპარატის საწყის კოდში განხორციელდა მცირე ცვლილება და განხორციელებული არცერთი ცვლილება არ არღვევს საარჩევნო კანონმდებლობას და არ ახდენს უარყოფით გავლენას საარჩევნო სისტემის მთლიანობაზე, საიმედოობაზე ან უსაფრთხოებაზე.

> *დასკვნა*[11]
> *2025 წლის მუნიციპალიტეტის არჩევნებზე ჩატარებული დაკვირვება წარმატებით დასრულდა და Pro V&V-ს პრობლემები არ გამოუვლენია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმატებით განახორციელა პროცედურები, რომლებიც ადრე ჩატარებული პილოტის ფარგლებში გამოიყენებოდა და მოახდინა მათი ქვეყნის მასშტაბით გამოყენება ელექტრონულ არჩევნებში. Pro V&V-მ დაადგინა, რომ არჩევნების ჩატარების პროცესები და პროცედურები იყო შესაფერისი და პერსონალი კარგად იყო მომზადებული. საარჩევნო უბნის თანამშრომლები კარგად იყვნენ მომზადებულები და Pro V&V-ის მიერ დაფიქსირებულ ნებისმიერ პრობლემას სწორად აგვარებდნენ, ამომრჩევლებს კი შესაძლებლობა ჰქონდათ წარმატებით მიეღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში.*
>
> ***არჩევნებზე დაკვირვების ანგარიში***

ჩატარებული აუდიტის სამივე ეტაპის შესახებ მომზადებული დასკვნა საჯაროა და განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს აქვს გაცნობის საშუალება.[12]

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის მოთხოვნებთან პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისობით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

11. აუდიტის საბოლოო დასკვნა იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/nsCdO
12. აუდიტის ანგარიში იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/ujim0

**ამოცანის 6.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღე-ბულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 6.2. ელექტრონული სერვისების განვითარება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**
**6.2.1**. სერვისების რაოდენობა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით
**6.2.2.** მიზნობრივი ჯგუფების მიერ სერვისების შეფასება

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 4 ოქ-ტომბრის არჩევნებისთვის, ელექტრონული სერვისების განვითარების ფარგლებში, მოხ-და საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული პროგრამის განახლება და ახალი მოდულების დამატება, მონაცემების ეფექტურად მართვისა და პროცესების ოპტიმიზაცი-ის მიზნით.

პირველ ეტაპზე დეტალურად გაიწერა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების დროს EMS სისტემაში გამოვლენილი ხარვეზები. შემდგომ ეტაპზე დაემატა ან მოდიფიცირ-და სხვადასხვა ფუნქციონალი - EMS-ში მოდულისთვის „სტატისტიკები“ მომზადდა Ex-cel-ის ნიმუშები და შეიქმნა ტექნიკური დავალებები მოდულებისთვის „პარლამენტი/საკრებულო“ და „პიროვნების დამატება“, სატესტოდ ამუშავდა შესაბამისი ქვემოდულები, EMS-ს დაემატა და გაიტესტა „განჩინების მართვის“ მოდული, HR მოდულს დაემატა სტრუქტურებისა და ბრძანებების მართვა, ასევე დაინერგა დაზღვევის, ავტომობილებისა და ფიტპასის რეპორტები, ბიოსტარის მონაცემების შეყვანა და დაზღვევის იმპორტი, შესაბამისად მოდული გაფართოვდა ბენეფიტებისა და პერსონალური მონაცემების მარ-თვით, EMS-სს დაემატა ოლქის კომისიის წევრთა დეტალური ინფორმაციის ატვირთვის შესაძლებლობა. პროგრამაში განხორციელდა მოდულების ტესტირება, განახლება და „პიროვნების დამატების“ ფუნქციის ინტეგრაცია, ასევე დაემატა პარამეტრების მართვის ახალი ფუნქციები და ის უზრუნველყოფს საოლქო კომისიების სტრუქტურის მართვას და ცესკოში გამოცდილების სტატუსის ცვლილებას.

EMS-სისტემაში დაემატა ახალი არჩევნები და აიტვირთა უბნები ახალი მისამართების მითითებით. ასევე, იმიტირებული არჩევნებისთვის დაემატა 10 სატესტო სუბიექტი და 1 011 სატესტო პიროვნება. 193 მაჟორიტარულ ოლქში დაემატა თითოეული სუბიექტის კანდიდატი  ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატად/მერად და ამავე სატესტო სუბიექტებიდან საკრებულოს პარტიული სია.

არჩევნების მართვის ელექტრონულ სისტემის გასაცნობად ჩატარდა შეხვედრა საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნებთან, მათ დეტალურად გაეცნოთ EMS სისტემაში მუშობის სპეციფიკა.

საკრებულოს პარტიული სია ელექტრონული პროგრამის საშუალებით წარადგინა 7-მა საარჩევნო სუბიექტმა. ამასთან, ელექტრონული პროგრამის საშუალებით წარადგინეს როგორც ადგილობრივი მაჟორიტარები, ასევე, მერობის კანდიდატებიც.

2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში, საარჩევნო უბნებიდან აქტივობისა და შემაჯამებელი ოქმების გადმოგზავნის აპლიკაციის მოდიფიცირების ფარგლებში, მომზადებული ტექნიკური დავალების შესაბამისად განხორციელდა აუცილებელი ფუნქციური ცვლილებები, რომელთა მიზანი იყო პროცესში შესაძლო შეცდომების მინიმიზაცია და აპლიკაციის ფუნქციონალის გაუმჯობესება. 2025 წელს საარჩევნო უბნებიდან აქტივობისა და შემაჯამებელი ოქმების გადმოგზავნის აპლიკაციის მოდიფიცირებისთვის საჭირო ტექნიკური დავალების შესაბამისად ცვლილება შევიდა აპლიკაციის ფუნქციონალში, რითიც შესაძლებელი გახდება შეცდომის დაშვების რისკი შემცირება. აღნიშნული აპლიკაცია არჩევნებამდე სრულად გაიტესტა, ხოლო 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების დღეს აპლიკაცია მუშაობდა შეუფერხებლად და ხარვეზების გარეშე.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების ტრადიციული ტიპის უბნებისთვის მომზადდა ბიულეტენების საბეჭდი ვერსიები, ასევე ყველა საარჩევნო უბნისთვის მომზადდა ბიულეტენების განაწილების სქემა, როგორც საუბნო, ასევე საოლქო შემაჯამებელი ოქმების საბეჭდი ვერსიები.

2025 წლის არჩევნებისთვის პროგრამულად და ტექნიკურად გაიმართა ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკა და დაკომპლექტდა ოლქების მიხედვით, შესაბამისად ბიულეტენები ციფრულ ფორმატში გადაყვანის მიზნით, განხორციელდა გაციფრულებისთვის საჭირო ტექნიკის გამართვა, ამასთანავე, განხორციელდა Google Drive ის ღრუბლოვანი სივრცის გამოყენება. შესაბამის პირებს ჩაუტარდათ პრაქტიკული ტრენინგი.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დასრულების შემდეგ, განხორციელდა საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანა (სკანირება). ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ბიულეტენები აიტვირთა Google Drive  ის ღრუბლოვან სივრცეში. შემოწმდა ატვირთული ინფორმაციის ხარისხი და გასაჯაროვდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის განახლდა კამერების კონფიგურაცია, მომზადდა 6 კომპიუტერი ლაივ რეჟიმისთვის და განხორციელდა ელექტრონული აპარატების მომზადების პროცესის უწყვეტი ტრანსლაცია.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონულ სერვერებზე კიბერშეტევით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

**ამოცანის 6.3 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 6.3. ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**
**6.3.1**. ელექტრონული მოწყობილობებით (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) აღჭურვილი საარჩევნო უბნების რაოდენობა
**6.3.2.** ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მისაწვდომი საარჩევნო უბნების წილი საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობაში

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ცესკოსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებშიც მოხდა შესაბამისი ფართების გამოყოფა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის, რომელიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის ორგანოთა  2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნის მიზნით. არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შეფასება/ანალიზის მიზნით შესაბამის უწყებებთან გაიგზავნა ოფიციალური წერილი საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურის გამოყოფასთან დაკავშირებით, შესაბამისად გაიმართა სამუშაო შეხვედრები სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან. საანგარიშო პერიოდში მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის პოტენციური ფართების მოძიება, ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი. შესაბამისად, არჩევნებისთვის შეიქმნა 3 061 საარჩევნო უბანი, აქედან საბავშვო ბაგა-ბაღების შენობებში განთავსდა 512 საარჩევნო უბანი, საჯარო სკოლებში - 1 741 საარჩევნო უბანი. 10 საარჩევნო უბანი განთავსდა პენიტენციურ დაწესებულებებში. ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1 301 ადაპტირებული საარჩევნო უბანი, მათ შორის 959 პანდუსით და 342 მარტივად ადაპტირებული. ამომრჩეველებს ჰქონდათ შესაძლებლობა არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელდა საარჩევნო უბნების დეტალური შესწავლა. მოხდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან/უწყებებთან კომუნიკაცია, იმ საარჩევნო უბნების ფართების გამოყოფასთან დაკავშირებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ დადგენილ კრიტერიუმებს. საბოლოოდ, უბნების ინფრასტრუქტურა დეტალურად იქნა შესწავლილი და არჩევნებისთვის განახლებული. მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა 3051 საარჩევნო უბანი, დამატებით 10 უბანი პენიტენციურ დაწესებულებებში, აქედან განახლებული ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნის რაოდენობა იყო 300 უბნამდე. აღნიშნულის ფარგლებში, ცესკოს ვებგვერდზე ბანერში "საარჩევნო რუკა" განთავსდა საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ადაპტირებული საარჩევნო უნების შესახებ დასურათებულ ფორმატში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სასაწყობე სივრცემ და ინფრასტრუქტურამ კვლავ უზრუნველყო არჩევნების, ელექტრონული საშუალებებით, გამართულად ჩატარება და მასთან დაკავშირებული ლოგისტიკის ბიზნეს პროცესების ცენტრალიზებულად განხორციელება.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების სიმცირით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ადაპტირებული შენობანაგებობების სიმცირე.

# გამოწვევები და რეკომენდაციები

საარჩევნო ადმინისტრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესში ინკლუზიურობის ხელშეწყობას და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი სერვისების გაუმჯობესებას, რაც წარმატებით განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ. თუმცა, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობებიდან ორი აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ორი აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში, აქტივობების შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 94 პროცენტი, კვლავ გამოწვევად რჩება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან მიმართებით ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელიც სრულად განხორციელდება. შესაბამისად, აქტივობების დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის ხელშემშლელი ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს აქტივობების სრულფასოვნად განხორციელებაზე.

## ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და სწავლების ცენტრი

- **იურიდიული დეპარტამენტი**
  გიორგი სანტურიანი, ცესკოს აპარატის/დეპარტამენტის უფროსი
- **სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი**
  ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საფინანსო დეპარტამენტი**
  ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**
  რუსუდან ლელაშვილი, დეპარტამენტის უფროსი
- **ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი**
  თამარ ცერცვაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი**
  ეკა ცაბაშვილი, დეპარტამენტის უფროსი
- **ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)**
  ლალი კიკნაძე, აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი
- **პრეს-სპიკერი**
  ნათია იოსელიანი
- **ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი**
  ლევან კახურაშვილი

**სსიპ-საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი**
ნათია ზაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი

# დანართი 1.

## 2025 წლის I-IV კვარტლის კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

| სტრატეგიული პრიორიტეტი | საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება |
|---|---|
| მიზანი 1 | საზოგადოების ინფორმირება და განათლება |
| ამოცანა 1.1 | საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | მოკლე აღწერა | ფერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.1.1 | პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე პარტიების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2025<br>II-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | • **2025 წლის 17 აგვისტოს** ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, შეხვედრის მონაწილეებს იმ სიახლეების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, რომელიც ადმინისტრაციამ 2025 წლის არჩევნებისთვის დანერგა.<br><br>შეხვედრას დაესწრო 9 პარტიის 14 წარმომადგენელი (5 ქალი, 9 კაცი).<br><br>• **2025 წლის 25 სექტემბერს** ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ორგანიზებით საინფორმაციო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ჩართული მხარეების ინფორმირების მნიშვნელობაზე, მათ როლზე და საარჩევნო პროცესში პროფესიონალიზმზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობაზე, სადაც ყველა ჩართული მხარე არის ინფორმირებული და მზად არის საკუთარი პასუხისმგებლობის ობიექტურად შესასრულებლად, რაც დემოკრატიული პროცესის გამართულად განხორციელების წინაპირობაა.<br><br>შეხვედრას დაესწრო არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების 41 წარმომადგენელი (24 ქალი, 17 კაცი). | |
| 1.1.1.2 | საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2025<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | • **2025 წლის 2 მაისს** ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის გაიმართა შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია - მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების შესახებ. გიორგი კალანდარიშვილმა და გიორგი შარაბიძემ დეტალურად ისაუბრეს მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციაში განხორციელებული აქტივობებისა და სიახლეების შესახებ. ამასთანავე, შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ცესკოს მიერ მიღებული ახალი რეგულაციები და გადაწყვეტილებები. გაიმართა მოდიფიცირებული დიზაინის საარჩევნო დოკუმენტაციის დემონსტრაცია.<br><br>შეხვედრას დაესწრო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის 20 წარმომადგენელი (ქალი - 8, კაცი - 12) ასევე, ცესკოს აპარატის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.<br><br>• **2025 წლის 17** სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა აქტიური დისკუსია და დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა არჩევნებთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო კითხვებზე მიიღეს ინფორმაცია.<br><br>შეხვედრას დაესწრო 20 ორგანიზაციის 34 წარმომადგენელი (18 ქალი, 16 კაცი). | |
| 1.1.1.3 | ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2025<br>I-IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 50 % | • **2025 წლის 25 სექტემბერს** ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ორგანიზებით საინფორმაციო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ჩართული მხარეების ინფორმირების მნიშვნელობაზე, საარჩევნო პროცესში პროფესიონალიზმზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობაზე, სადაც ყველა ჩართული მხარე არის ინფორმირებული და მზად არის საკუთარი პასუხისმგებლობის ობიექტურად შესასრულებლად, რაც დემოკრატიული პროცესის გამართულად განხორციელების წინაპირობაა.<br><br>შეხვედრას დაესწრო არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების 41 წარმომადგენელი (24 ქალი, 17 კაცი). | |
| 1.1.1.4 | მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2025<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | • **2025 წლის 29-31 აგვისტოს** ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ცესკოს სწავლების ცენტრის ინიციატივით რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენების პროცესის მიმოხილვა, მიმდინარე წლის თვითმმართველობის არჩევნები, არჩევნებში მედიის როლი და საერთაშორისო სტანდარტები არჩევნების ორგანიზების პროცესში, შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემები იყო. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტების არსებით როლზე საარჩევნო პროცესებში, ასევე აუცილებლობაზე საზოგადოებამ მუდმივად მიიღოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია არჩევნების შესახებ და გამორჩეულად კი საარჩევნო პერიოდში. ღონისძიებას ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირიც ესწრებოდა. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში და იმ პროცესების შესახებ ისაუბრეს, რომელიც არჩევნებისთვის მზადების პროცესში და უშუალოდ კენჭისყრის დღისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში ხორციელდება.<br><br>შეხვედრას დაესწრო მედიის 28 წარმომადგენელი (24 ქალი, 4 კაცი).<br><br>• **2025 წლის13-14 სექტემბერს** ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სწავლების ცენტრის ორგანიზებით სამუშაო შეხვედრა სატელევიზიო და ონლაინმედიის წარმომადგენლებთან გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მიმოხილულ იქნა საარჩევნო პროცესებში მედიის როლი და მნიშვნელობა.<br>შეხვედრას დაესწრო მედიის 42 წარმომადგენელი (ქალი - 35, კაცი -7). | |
| 1.1.1.5 | საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2025<br>III-IV კვარტალი | გაუქმებულია | 0 % | აღნიშნული აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. | |

| ამოცანა 1.2 | ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ |
|---|---|

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | მოკლე აღწერა | ფერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.2.1.1 | საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 5 საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>III კვარტალი | გაუქმებულია | 0 % | გადაიხედა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები, რის შედეგადაც, არ დამდგარა აღნიშნული აქტივობის განხორციელების საჭიროება. | |
| 1.2.1.2 | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არანაკლებ 80 შეხვედრა ჩატარებულია, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არანაკლებ 12 შეხვედრა, ასევე მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>II-III კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 50 % | ცესკომ, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და საქართველოს ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოების ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, სხვადასხვა რეგიონში 4 შეხვედრა გამართა, რაც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას.<br>შეხვედრების ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესის, ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობის შესახებ.<br>შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა:<br>·25 ივნისს ქ. ხაშურში შეხვედრას დაესწრო 110 პირი;<br>·28 ივნისს ქ. ქუთაისში შეხვედრას დაესწრო 180 პირი;<br>·7 ივლისს ქ. რუსთავში შეხვედრას დაესწრო 100 პირი;<br>·9 ივლისს ქ. ბათუმში შეხვედრას დაესწრო 120 პირი. | |
| 1.2.1.3 | უსინათლო პირებთან საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • უსინათლოთა კავშირის არანაკლებ 2 ფილიალში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | სამუშაო ჯგუფი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | • **2025 წლის 26 სექტემბერს** საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზებით, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს უსინათლოთა კავშირთან თანამშრომლობით ქ. თბილისში უსინათლო ამომრჩევლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებსა და იმ სერვისების შესახებ, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია უსინათლო ამომრჩევლებს საარჩევნო უბანზე სთავაზობს.<br>**შეხვედრას დაესწრო 39 მონაწილე (23 ქალი 16 კაცი);**<br><br>• **2025 წლის 30 სექტემბერს** საინფორმაციო შეხვედრა ქ. რუსთავში საქართველოს უსინათლოთა კავშირის ფილიალში გაიმართა. შეხვედრის მთავარი თემა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 4 ოქტომბრის არჩევნები იყო. შეხვედრის ფარგლებში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა და მდივანმა შეხვედრის მონაწილეებს 4 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ინფორმაცია და საარჩევნო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიახლეები გააცნეს.<br>**შეხვედრას დაესწრო 11 მონაწილე (8 ქალი, 3 კაცი).** | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.2.1.4** | ყრუ პირებთან საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • ყრუთა კავშირის არანაკლებ 2 ფილიალში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | სამუშაო ჯგუფი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | • **2025 წლის 29 სექტემბერს** საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზებით, საქართველოს ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით, ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებთან ქ.ქუთაისში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო 2025 წლის მუნიციპალიტეტის არჩევნების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება, საარჩევნო პროცედურებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება, ასევე ამომრჩეველთა საჭიროებების გაცნობა. შეხვედრის ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა და მდივანმა შეხვედრის მონაწილეებს 4 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ინფორმაცია და საარჩევნო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიახლეები გააცნეს.<br>**შეხვედრას დაესწრო 25 მონაწილე ( 16 ქალი 9 კაცი);**<br><br>• **2025 წლის პირველ ოქტომბერს** საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზებით ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებთან მორიგი საინფორმაციო შეხვედრა ქ. თბილისში გაიმართა. შეხვედრის მიზანი 2025 წლის მუნიციპალიტეტის არჩევნების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება, საარჩევნო პროცედურებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება იყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია 4 ოქტომბრის არჩევნების შესახებ და ზოგადად საარჩევნო სიახლეების შესახებ და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული/დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო კითხვებზე.<br>შეხვედრაცენტრალური საარჩევნო კომისიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით გაიმართა.<br>**შეხვედრას დაესწრო 45 მონაწილე (22 ქალი 23 კაცი).** | |
| **1.2.1.5** | სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის მოდიფიცირება | • პროგრამაში ცვლილებები განხორციელებულია<br>• პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა, სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის მოდიფიცირება, აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა ტექნიკურ დავალებაზე მუშაობა, რის შედეგადაც პროგრამაში დაგეგმილი ცვლილებები წარმატებით განხორციელდა. 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მომზადდა საარჩევნო ბიულეტენის ფორმა, რომლის ინტეგრირებაც განხორციელდა სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშში. პროგრამას სულ ჰყავდა 1 431 მომხმარებელი. | |

**ამოცანა 1.3** **ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება**

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | მოკლე აღწერა | ფერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.3.1.1** | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტებისათვის ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • მონაწილე პარტიების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• არანაკლებ 10 მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტებისათვის ელექტრონულ მართვის სისტემაში (EMS) 2025 წლის მეორე კვარტალში მოხდა ხარვეზების გამოსწორება, რომელიც საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების დროს გამოვლინდა. სისტემაში, ამასთანავე დაემატა, სხვადასხვა საჭირო და მნიშვნელოვანი მოდული. აღმოჩენილი ხარვეზების მოწესრიგების შემდეგ, შესაძლებელი გახდა, ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ, სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, არჩევნებისთვის უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტებთვის. აღნიშნულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო 9 საარჩევნო სუბიექტის 14 წარმომადგენელი (კაცი-9; ქალი-5). | |
| **1.3.1.2** | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • მონაწილე დამკვირვებელი ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• არანაკლებ 15 მონაწილეთა რაოდენაობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის მოხდა სასწავლო-საინფორმაციო ხასიათის კონსულტაციების გაწევა სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. კონსულტაციები ეხებოდა ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენებას. სატელეფონო კონსულტაციებში მონაწილეობდა 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული 15 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 15 წარმომადგენელი (ქალი-13; კაცი-2). | |
| **1.3.1.3** | საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის "არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი" განხორციელება | • მუნიციპალიტეტების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მიხედვით<br>• არანაკლებ 360 საჯარო სკოლაში პროგრამა განხორციელებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკომ და სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობით, 2025 წლის 17 თებერვლიდან 21 მარტის პერიოდში, საქართველოს საჯარო სკოლებში განახორციელა მასშტაბური სასწავლო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომელიც კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოში დემოკრატიული საარჩევნო კულტურის განვითარებისთვის და საქართველოს მომავალი თაობის აქტიურ ამომრჩევლებად ჩამოყალიბებისთვის.<br>პროექტის მიზანია: ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა<br>სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში XI-XII კლასის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ ძირითად საკითხებზე:<br>·არჩევნების არსი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობა;<br>·საქართველოში დემოკრატიული არჩევნების განვითარების ისტორია და მოდერნიზებული არჩევნები;<br>·დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები;<br>·ინკლუზიური საარჩევნო გარემო და გენდერული თანასწორობა საარჩევნო პროცესში;<br>·არჩევითი სახელმწიფო ორგანოები;<br>·საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები;<br>·არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები და მათი როლი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში;<br>·სიძულვილის ენის და დეზინფორმაციისაგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა.<br><br>პროექტის იმპლემენტაცია სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 101-მა ტრენერმა უზრუნველყო. ის 2015 წლიდან ხორციელდება, დღემდე საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა 64 მუნიციპალიტეტში განლაგებული 2 066 საჯარო სკოლის XI-XII კლასის 41 104-მდე მოსწავლემ გაიარა. 2025 წელს საინფორმაციო-სასწავლო კურსი 64 მუნიციპალიტეტში განლაგებული 360 საჯარო სკოლის 7604 მოსწავლემ გაიარა (ქალი-4 438(58%); კაცი-3 166(42%)), მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტებში (თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა) განლაგებული 56 საჯარო სკოლის 1 166 მოსწავლემ (ქალი-679(58%); კაცი-487(42%)). ახალგაზრდებმა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა პოზიტიურად შეაფასეს. | |
| **1.3.1.4** | საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის საინფორმაციო კურსის „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“ განხორციელება | • მუნიციპალიტეტების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მიხედვით<br>• სამოქალაქო განათლების არანაკლებ 100 პედაგოგისთვის კურსი ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკომ და სწავლების ცენტრმა, 2025 წლის 17 თებერვლიდან 12 მარტის პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობით, საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგების ჩართულობით მასშტაბური საინფორმაციო - სასწავლო პროექტი „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“ განახორციელა.<br>პროექტის მიზანია: საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“ გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს არჩევნების მოდულზე საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლეებისთვის განახლებული ინფორმაციის გაზიარებას. საარჩევნო განათლების მიმართულებით ჩატარებული პროექტი ახალგაზრდა თაობის საარჩევნო ცნობიერების ამაღლების კომპლექსური ამოცანის შესრულებას ემსახურება. სწავლების ცენტრმა საბაზო და საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის სპეციალურად მოამზადა დამატებითი საინფორმაციო რესურსი, რომელიც მოიცავს საარჩევნო თემატიკას, თემის განვრცობისთვის განკუთვნილ საკითხავ მასალას, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და სარეკომენდაციო მითითებებს ჩატარების მეთოდოლოგიის შესახებ. შეხვედრის ფარგლებში აღნიშნული რესურსი გადაეცათ პედაგოგებს. ამასთან, შეხვედრების მონაწილეებთან განხილულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:<br>·ამომრჩევლის როლის მნიშვნელობა და პოლიტიკური კულტურის ასპექტები;<br>·დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები;<br>·არჩევნების მოდერნიზაციის ტენდენციები და ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება;<br>·ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში;<br>·ინკლუზიური საარჩევნო გარემო;<br>·საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები.<br><br>პროექტის იმპლემენტაცია სწავლების ცენტრის ტრენერებმა უზრუნველყვეს.<br>2025 წელს საინფორმაციო შეხვედრები 23 მუნიციპალიტეტში (თბილისი, ყვარელი, გურჯაანი, კასპი, თიანეთი, ქარელი, ბორჯომი, ასპინძა, გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი, თერჯოლა, ვანი, სამტრედია, ჭიათურა, ხარაგაული, ხელვაჩაური, ლანჩხუთი, წალენჯიხა, მარტვილი, სენაკი), მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 5 მუნიციპალიტეტში (გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი) ჩატარდა. შეხვედრებში მონაწილეობა 478 საჯარო სკოლის 510-მა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა (ქალი-407(80%) ; კაცი-103(20%)) მიიღო, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ხუთ მუნიციპალიტეტში განლაგებული 69 საჯარო სკოლის 92 პედაგოგმა (ქალი-71(77%); კაცი-21(23%)). სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა პოზიტიურად შეაფასეს. უკუკავშირის ფორმატში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გადაცემული სასწავლო რესურსი და გაზიარებული სასწავლო მეთოდოლოგია მორგებულია მოსწავლეების ასაკთან, ინტერესებთან და ხელს შეუწყობს საარჩევნო სიახლეების გაცნობასა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის გათავისებას. | |
| **1.3.1.5** | უნივერსიტეტებში სემესტრული სასწავლო პროგრამის „საარჩევნო სამართალი“ განხორციელება | • არანაკლებ 6 უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამა განხორციელებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სემესტრული სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართალი“ განხორციელდა. აღნიშნული პროგრამა თანამედროვე სწავლების სტრატეგიას ეფუძნება - დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტების როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკაში პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. აღნიშნული კურსის ფარგლებში, სტუდენტებმა ინფორმაცია მიიღეს არჩევნებთან დაკავშირებულ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებზე და საერთაშორისო საარჩევნო პრაქტიკაზე. ამასთან, მიმდინარე წელს ოქტომბერში გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებულ საარჩევნო სერვისებზე.<br>სასწავლო პროცესს სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული ლექტორები უძღვებოდნენ.<br><br>პროექტის მიზანია: პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის საარჩევნო სამართლის დარგში აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავება, ახალგაზრდებში საარჩევნო კულტურის განმტკიცება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე დარგობრივი სპეციალისტების მომზადება.<br><br>პროგრამა განხორციელდა 9 პარტნიორ უნივერსიტეტში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სასწავლო კურსი გაიარა 764 -მა სტუდენტმა (502 - ქალი, 262 - კაცი), მათ შორის 95 სტუდენტი (ქალი - 47, კაცი - 48) ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონიდან (ქ. ახალციხე). საბოლოოდ, მონაწილეების მიერ, კურსი დადებითად შეფასდა. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.3.1.6** | უნივერსიტეტებში საინფორმაციო-სასწავლო პროექტის "ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი" განხორციელება | • არანაკლებ 6 უნივერსიტეტში სასწავლო-საინფორმაციო პროექტი განხორციელებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სწავლების ცენტრმა, 2025 წლის 16-23 მაისის პერიოდში განახორციელა, უნივერსიტეტის სტუდენტებთან, სემინარების ციკლი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“. საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია 2025 წლის 4 ოქტომბერს გასამართი მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ, ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზების გარანტიებზე, მათ შორის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობასა და ხელშემწყობ პირობებზე. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტები, ასევე, გაეცნენ ინფორმაციას საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. სემინარების ჩატარება სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს.<br><br>პროექტის მიზანია: არჩევნების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების აქტიურ და ინფორმირებულ ამომრჩევლებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.<br><br>პროექტი განხორციელდა თბილისსა და რეგიონებში მოქმედი 7 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში:<br>•ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>•კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;<br>•გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;<br>•აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;<br>•სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>•გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>•იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.<br>პროექტში მონაწილეობა მიიღო 113-მა სტუდენტმა (69 - ქალი, 44 -კაცი)<br>პროგრამის მონაწილეებმა ლექციების ფორმატში სასწავლო კურსი დადებითად შეაფასეს. | |
| **1.3.1.7** | 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • მონაწილე პოლიტიკური პარტიების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკომ და სწავლების ცენტრმა, 2025 წლის 25 სექტემბერს საინფორმაციო შეხვედრა გამართა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია იმ ძირითად საკითხებზე, რომელიც უკავშირდებოდა მათი უფლება-მოვალეობების განხორციელებასა და სხვადასხვა საარჩევნო/საკანონმდებლო სიახლეს, კერძოდ:<br>•მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის მზადების პროცესი;<br>•კენჭისყრის დღის პროცედურული ასპექტები;<br>•ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები.<br>პროექტის მიზანია: ჩართული მხარეების ინფორმირების ხელშეწყობა კენჭისყრის დღის პროცედურული სიახლეებისა და საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების საკითხებზე; საარჩევნო ადმინისტრაციასა და ჩართულ მხარეებს შორის პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის განმტკიცება და ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა.<br><br>პროექტში მონაწილეობა მიიღო არჩევნებისთვის რეგისტრირებულმა 6 პოლიტიკური პარტიის 13-მა წარმომადგენელმა (ქალი-8, კაცი-5):<br>•მპგ „კონსერვატორები საქართველოსთვის“;<br>•მპგ „სახალხო ხელისუფლება“;<br>•მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;<br>•მპგ „ძლიერი საქართველო-ლელო“;<br>•მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;<br>•მპგ „მამული, ენა, სარწმუნოება“. | |
| **1.3.1.8** | 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და დამკვირვებლების უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • მონაწილე დამკვირვებელი ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკომ და სწავლების ცენტრმა, 2025 წლის 25 სექტემბერს საინფორმაციო შეხვედრა გამართა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს იმ ძირითად საკითხებზე, რომელიც უკავშირდებოდა მათი უფლება-მოვალეობების განხორციელებასა და სხვადასხვა საარჩევნო/საკანონმდებლო სიახლეებს, კერძოდ:<br>•მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის მზადების პროცესი;<br>•კენჭისყრის დღის პროცედურული ასპექტები;<br>•ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები.<br>პროექტის მიზანია: ჩართული მხარეების ინფორმირების ხელშეწყობა კენჭისყრის დღის პროცედურული სიახლეებისა და საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების საკითხებზე; საარჩევნო ადმინისტრაციასა და ჩართულ მხარეებს შორის პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის განმტკიცება და ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა.<br>პროექტში მონაწილეობა მიიღო 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებულმა 11 დამკვირვებელი ორგანიზაციის 28 წარმომადგენელმა (ქალი-16, კაცი-12):<br>•ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;<br>•ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;<br>•ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“;<br>•ა(ა)იპ „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერი“;<br>•ა(ა)იპ „საერთაშორისო ასოციაცია დაიცავი შენი წილი სამშობლო“;<br>•ა(ა)იპ „ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისათვის“;<br>•ა(ა)იპ „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“;<br>•ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;<br>•ა(ა)იპ „მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;<br>•ა(ა)იპ „კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“;<br>•ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველი“. | |
| **1.3.1.9** | 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და აკრედიტებული ჟურნალისტების უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • მონაწილე მედიაორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკომ და სწავლების ცენტრმა, 2025 წლის 29-30 აგვისტოს და 13-14 სექტემბერს საინფორმაციო/სამუშაო შეხვედები გამართეს მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები:<br>•2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენების პროცესის მიმოხილვა;<br>•მიმდინარე წლის თვითმმართველობის არჩევნები;<br>•არჩევნებში მედიის როლი და საერთაშორისო სტანდარტები არჩევნების ორგანიზების პროცესში;<br>•ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები.<br>პროექტის მიზანია: ჩართული მხარეების ინფორმირების ხელშეწყობა კენჭისყრის დღის პროცედურული სიახლეებისა და საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების საკითხებზე; საარჩევნო ადმინისტრაციასა და ჩართულ მხარეებს შორის პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის განმტკიცება და ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა.<br>პროექტში მონაწილეობა მიიღო 51 მედია ორგანიზაციის 70-მა ჟურნალისტმა (ქალი-59, კაცი-11). | |
| **1.3.1.10** | 2025 წლის არჩევნებისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • მონაწილე სასჯელაღსრულების დაწესებულებების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრმა გამართა საინფორმაციო შეხვედრა იმ პენიტენციური დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სადაც არჩევნებისთვის გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნები ფუნქციონირებდა. საინფორმაციო შეხვედრა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან თანამშრომლობით განხორციელდა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა-საარჩევნო უფლების მქონე ბრალდებულების/მსჯავრდებულების არჩევნებში მონაწილეობისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობა.<br>სწავლების ცენტრმა სპეციალიზებული პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს გააცნო შემდეგი ძირითადი საკითხები:<br>• პენიტენციურ დაწესებულებებში სააგიტაციო მასალების განთავსების წესი და ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულების/მსჯავრდებულების ინფორმირების პირობები;<br>• კენჭისყრის პროცესში ამომრჩევლების მონაწილეობის პროცედურები;<br>• ხმის მიცემის პროცესში პატიმართა უფლებების დაცვა და თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, მათ შორის, ამომრჩევლის ხმის მიცემის ფარულობის, ნების თავისუფალი გამოვლენის, პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიები;<br>• კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები და მათი უფლებრივი მდგომარეობა;<br>• კენჭისყრის შენობის მოწყობის ლოგისტიკური საკითხები და უსაფრთხოება.<br><br>პროექტში მონაწილეობა მიიღო N10 გლდანის, N20 რუსთავის, N27 მცხეთის, N58 წყალტუბოს, N59 ქუთაისის, N60 ოზურგეთის და N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიების სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული N1, N2, N3, N5, N8, N12, N14, N15, N17 პენიტენციურ დაწესებულებების წარმომადგენლებმა (აღნიშნულ დაწესებულებებში 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა საარჩევნო უბნები (გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი უბნები).<br>საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სპეციალური პენიტენციური სამსახურის 9 პენიტენციური დაწესებულების 14-მა წარმომადგენელმა. (ქალი-2, კაცი-12). | |
| **1.3.1.11** | 2025 წლის არჩევნებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის სასწავლო-საინფორმაციო კურსის "არჩევნების უსაფრთხოება" ჩატარება | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა | სწავლების ცენტრი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკოსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის, 2025 წლის 2 სექტემბერს, გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად პოლიციელების გადამზადება განისაზღვრა. ინიცირებული საკითხის გათვალისწინებით, 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, სწავლების ცენტრმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის ფორმატში დაგეგმა და განახორციელა მასშტაბური საინფორმაციო-სასწავლო პროექტი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის. პროგრამა 8 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. კურსი განხორციელდა სწავლების ცენტრისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. პოლიციელების მაქსიმალური რაოდენობით ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სატრენინგო სესიები დისტანციურ ფორმატში წარიმართა. სპეციალიზებული პროგრამის „არჩევნები და უსაფრთხოება“ ფარგლებში განხილული იქნა მნიშვნელოვანი საკითხები:<br>•უსაფრთხო და მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად ეფექტიანი კომუნიკაცია საარჩევნო ადმინისტრაციასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის;<br>•კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რისკების იდენტიფიცირება, პრევენცია და რეაგირების მექანიზმები.<br>საინფორმაციო-სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა, 18 შეხვედრის ფარგლებში, მიიღო პოლიციის 1 619-მა თანამშრომელმა. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.3.1.12** | სასწავლო პროექტის "არჩევნები და ელექტრონული ტექნოლოგიები" განხორციელება | • არანაკლებ 64 მუნიციპალიტეტში კონკურსი გამოცხადებულია<br>• ჩატარებული სასწავლო კურსების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სამუშაო ჯგუფი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სასწავლო პროექტი "არჩევნები და ელექტრონული ტექნოლოგიები" განხორციელდა 23 ივნისი - 18 ივლისის პერიოდში 64 მუნიციპალიტეტში, თბილისსა და რეგიონებში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში მდებარე წინასწარ განსაზღვრულ 89 ლოკაციაზე. ჩატარებული სასწავლო კურსების რაოდენობამ შეადგინა 358, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში 50.<br>მონაწილეთა რაოდენობა იყო 4 861 (ქალი - 3387, კაცი - 1475), აქედან ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მონაწილე იყო 616 (ქალი - 337, კაცი - 279). | |
| **1.3.1.13** | სასწავლო პროექტის „ცესკოს საარჩევნო ბანაკი" განხორციელება | • ანგარიში პროექტის განხორციელების შესახებ ცესკოს თავმჯდომარისთვის წარდგენილია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სამუშაო ჯგუფი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | აღნიშნული სასწავლო პროექტი „ცესკოს საარჩევნო ბანაკი"  გაერთიანდა/განხორციელდა სასწავლო პროგრამის  „არჩევნები და ელექტრონული ტექნოლოგიები" ფარგლებში. | |
| **1.3.1.14** | ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისთვის არჩევნების მედიასკოლის პროექტის შექმნა | • პროექტის კონცეფცია შექმნილია<br>• საპილოტე რეჟიმში ჩატარებული სასწავლო კურსების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საარჩევნო ადმინისტრაციამ ახალი საგანმანათლებლო პროექტი „საარჩევნო მედია სკოლა" წარმატებით განახორციელა. საპილოტე პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და საარჩევნო საკითხების შესახებ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების ცნობიერების ამაღლება იყო. „საარჩევნო მედია სკოლა" 15 სექტემბერს დაიწყო.  აღსანიშნავია, რომ პროექტის მონაწილეებს ინფორმაცია და საკუთარი გამოცდილება შეხვედრებისა და დისკუსიის ფორმატში ცესკოს ხელმძღვანელ პირებთან ერთად მოწვეულმა ექსპერტებმაც გაუზიარეს. სტუდენტები ორი კვირის განმავლობაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეცნობოდნენ, როგორებიცაა:<br>• საარჩევნო სისტემები და საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები;<br>• ელექტრონული არჩევნები;<br>• ხმის მიცემის პროცედურები;<br>• ინკლუზიური საარჩევნო გარემო;<br>• მედიის როლი საარჩევნო პროცესში, საერთაშორისო პრაქტიკა, მედიის უფლებები და მოვალეობები საარჩევნო პროცესის გაშუქებისას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა;<br>• დეზინფორმაცია როგორც მსოფლიოს გამოწვევა და მასთან გამკლავების გზები, არასწორი აღქმები, აზრის ფორმირება და ა.შ.<br><br>პროექტი ცესკოსა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის არსებული მემორანდუმის და ასევე, ცესკოს სწავლების ცენტრსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში განხორციელდა. საგანმანათლებლო პროექტის წარმატებით დასრულებისათვის მონაწილეებს სერტიფიკატები 30 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და ცესკოს პრეს-სპიკერმა გადასცეს.<br><br>პროექტში მონაწილეობდა 10 სტუდენტი. (9 ქალი, 1 კაცი). | |
| **მიზანი 2** | | **სამართალწარმოების პროცესის განვითარება** | | | | | | |
| **ამოცანა 2.1** | | **საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **2.1.1.1** | საარჩევნო დავების სახელმძღვანელოს განახლება | • განახლებული სახელმძღვანელო ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია | იურიდიული დეპარტამენტი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების ფარგლებში საარჩევნო დავების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე განახლდა და ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ორი დოკუმენტი:<br><br>• საარჩევნო დავების შესახებ სახელმძღვანელო;<br>• ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო. | |
| **2.1.1.2** | დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზის განხორციელება | • ანალიზის დოკუმენტი შექმნილი | იურიდიული დეპარტამენტი | 2025<br>IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წელს განხორციელდა სანგარიშო პერიოდის დროს გამოქვეყნებული დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი. ანალიზის დოკუმენტი წარედგინა/გაეგზავნა ცესკოს ხელმძღვანელ პირებს. | |
| **2.1.1.3** | საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის საკანონმდებლო საკითხებისა და საარჩევნო დავების შესახებ ტრენინგების ჩატარება | • სსკ-ების არანაკლებ 140 ხელმძღვანელი პირისთვის ტრენინგი ჩატარებულია<br>• სტატისტიკური მონაცემები მონაწილეთა შესახებ | იურიდიული დეპარტამენტი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სამართალწარმოების პროცესის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებსა და წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ საკანონმდებლო ცვლილებებს, საარჩევნო დავების წარმოების, მათი ერთგვაროვანი განხილვის შესახებ საკითხებს, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, რამაც ხელი შეუწყო საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესებას.<br><br>აღნიშნულ ტრენინგს დაესწრო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის - 365 წევრი (ქალი - 227, კაცი - 138). | |
| **2.1.1.4** | საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის საარჩევნო დავებთან დაკავშირებით არსებულ ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესახებ ტრენინგების ჩატარება | • სსკ-ების არანაკლებ 140 ხელმძღვანელი პირისთვის ტრენინგი ჩატარებულია<br>• სტატისტიკური მონაცემები მონაწილეთა შესახებ | იურიდიული დეპარტამენტი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საარჩევნო დავებთან დაკავშირებით ონლაინ პლატფორმების ეფექტურად გამოყენების მიზნით,  საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის (თავმჯდომარე, მდივანი) ჩატარდა ტრენინგი, რომლის ფარგლებში ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია  საჩივრების რეესტრის და საჩივრის ელექტრონული ფორმით შეტანისა და მინდობილ პირთა ელექტრონული რეესტრის გამოყენების შესახებ, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ონლაინ პლატფორმების ადმინისტრირებას.<br><br>აღნიშნულ ტრენინგს დაესწრო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის - 146 წევრი (ქალი - 91, კაცი - 55). | |
| **ამოცანა 2.2** | | **სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **2.2.1.1** | მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი აღქმის შესახებ სამუშაო შეხვედრის ჩატარება | • მოწვეული და მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | იურიდიული დეპარტამენტი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 ოქტომბრის  მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებისათვის გაზიარებულ იქნა ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების, საარჩევნო სუბიექტების უფლება-მოვალეობების, ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.<br><br>აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო 6 საარჩევნო სუბიექტი, 13 მონაწილე (ქალი - 8, კაცი - 5). | |
| **2.2.1.2** | მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი აღქმის შესახებ სამუშაო შეხვედრის ჩატარება | • მოწვეული და მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | იურიდიული დეპარტამენტი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 ოქტომბრის  მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებისათვის გაზიარებულ იქნა ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების, დამკვირვებლების უფლება-მოვალეობების, ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.<br><br>აღნიშნულ შეხვერდას დასწრო 11 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია, 28 მონაწილე (ქალი - 16, კაცი - 12). | |
| **2.2.1.3** | 2024 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების სამართლებრივი ანალიზის განხორციელება | • საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზი ჩატარებულია<br>• რეკომენდაციები საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მიწოდებულია | იურიდიული დეპარტამენტი | 2025<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების სამართლებრივი ანალიზის განხორციელებამ მოიცვა შემდეგი ეტაპები:<br><br>• განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების  ანალიზი;<br>• ზოგიერთ შემთხვევაში მომზადდა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილები;<br>• რეკომენდაციები საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მიწოდებულია სამუშაო შეხვედრების ფორმატში (დამატებით, სარეკომენდაციო წერილი გაიგზავნა საოლქო საარჩევნო კომისიებში). | |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | მოკლე აღწერა | ფერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **ინსტიტუციური გაძლიერება** | | | | | | | |
| **მიზანი 3** | **მართვის ეფექტიანობის ზრდა** | | | | | | | |
| **ამოცანა 3.1** | **მართვის ხარისხის გაუმჯობესება** | | | | | | | |
| **3.1.1.1** | მართვის ხარისხის საერთაშორისო აუდიტის გავლა | მართვის ხარისხის სერტიფიკატი (ISO) აღებულია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2025<br>I -III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | მართვის ხარისხის საერთაშორისო აუდიტის გავლის მიზნით განხორციელდა შემდეგი ეტაპები:<br>· მომზადდა საარჩევნო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილების მართვის პროცესის აღმწერი PD დოკუმენტის პროექტი;<br>· მომზადდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის პროექტი;<br>· მომზადდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ანგარიში;<br>· განხორციელდა შიდა აუდიტის პროცესისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;<br>· ჩატარდა შიდა აუდიტი;<br>· ჩატარდა გარე აუდიტი.<br>მართვის ხარისხის საერთაშორისო ISO 9001:2015 სერტიფიკატი აღებულია. | |
| **ამოცანა 3.2** | **მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება** | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **3.2.1.1** | საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონულ პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის მოდულის შექმნა | • ტექნიკური დავალება მომზადებულია<br>• ადამიანური რესურსების მართვის მოდული შექმნილია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2025<br>I -III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონულ პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის მოდულის შექმნის მიზნით განხორციელდა შემდეგი ეტაპები:<br><br>მომზადდა ტექნიკური დავალება, რომლის მიხედვითაც:<br>· შეიქმნა სტრუქტურებისა და ბრძანებების მოდულები;<br>· შეიქმნა სტრუქტურებისა და ბრძანებების ქვემოდულები;<br>· შეიქმნა თანამშრომეთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის მოდული;<br>· შეიქმნა HR პარამეტრების მართვის მოდული, ასევე, სისიტემაში დაემატა HR მოდულთან დაკავშირებული ფუნქციონალი და ლოგირება;<br>· განხორცეილდა საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონულ პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის მოდულის ტესტირება;<br>· განხორცეილდა შესაბამისი ინფორმაციის აკუმულირება;<br>· განხორციელდა EMS პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის მოდულის ქვემოდულების ტესტირება და შესაბამისი ინფორმაციის შეყვანა;<br>· შეიქმნა თანამშრომელთა შეფასების სისტემის მოდული;<br>· შეიქმნა თანამშრომელთა ფუნქციური კომპეტენციების შეფასების სისტემის მოდული. | |
| **3.2.1.2** | მართვის მოდელის ახალი ინსტრუმენტების დანერგვა | • თანამშრომლებთან Scrum Agile მეთოდოლოგიის ტრენინგი ჩატარებულია<br>. მართვის ახალი მოდელის ინსტრუქციები/ სახელმძღვანელოები შექმნილია | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი | 2025<br>I -III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წელს ტექნიკური მხარდაჭერის მოთხოვნის მიღების, შესრულების და IT  პროექტების მართვის გაუმჯობესების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა, დაიწყო მართვის მოდელის ახალი ინსტრუმენტების დანერგვის პროცესი, ამისთვის შემუშავდა მოთხოვნების ფორმები, გაიწერა სისტემაში წვდომები და ჩატარდა შეხვედრები ცესკოს თანამშრომლებთან, სისტემის გამოყენების სწავლების მიზნით.<br>აღნიშნულის დახმარებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში დაინერგა ჯირა სერვის მენეჯმენტი. ჯირა სერვის პროგრამაში (Jira service management), სისტემის მომხმარებელთა გაფართოების მიზნით, განხორცილდა საოლქო საარჩევნო კომისიების ტექნიკური დახმარების მოთხოვნების იდენტიფიცირება, აიწყო მოთხოვნის შესაბამისი ფორმები. სისტემის გამოყენების სწავლების მიზნით შეიქმნა მართვის ახალი მოდულის ინსტრუქციები/სახელმძღვანელოები, აღნიშნული გაეგზავნათ საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამის თანამშრომლებს და ჩაუტარდათ შესაბამისი სწავლება. აღსანიშნავია, რომ ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები ითვალისწინებს მუდმივ განახლებას ახალი ფუნქციონალის დამატების შემთხევაში, რაც ხელს უწყობს შესაბამისი თანამშრომლების მუდმივ ინფორმირებას. აღნიშნული სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო ტექნიკური მხარდაჭერის მოთხოვნების სრულფასოვნად აღრიცხვას და მუდმივი ონიტორინგის შესაძლებლობას, რამაც გააუმქობესა IT  პროექტების მართვა.<br>ასევე, აქტიური სამუშაოები ჩატარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარატმენტში მართვის ახალი მეთოდის (Scrum Agile) დანერგვის კუთხით:<br><br>• გადამზადდა შესაბამისი ადამიანური რესურსი;<br>• დეპარტამენტში მომუშავე თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულ გუნდებთან დაიწყო აღნიშნული მეთოდით სამუშაოების წარმართვა, რაც მიზნად ისახავს ახალი მართვის მიდგომებით მუშაობის ეფექტიანობის ზრდას. | |
| **მიზანი 4** | **საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება** | | | | | | | |
| **ამოცანა 4.1** | **ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება** | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **4.1.1.1** | საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისათვის/წევრებისთვის ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ ტრენინგების განხორციელება | • 73 სსკ-ს არანაკლებ146 წევრი გადამზადებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ელექტრონული მართვის სიტემაში (EMS) 2025 წლის პირველ კვარტალში მოხდა არსებულ მოდულებში ცვლილებების შეტანა, შემდეგ ეტაპზე შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები სატრენინგო მოდულებისთვის, რომლითაც მოხდა საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის (თავმჯდომარე, მდივანი)/წევრებისთვის ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენების შესახებ ტრენინგების ჩატარება. აღნიშნულის ფარგლებში განხილული იქნა Ems პროგრამაში გაქნხორციელებული სიახლეების, როგორც თეორიული ასევე, პრაქტიკული ნაწილი.<br>ტრენინგის ფარგლებში ჩართული იყო სულ 146 მონაწილე (კაცი-55, ქალი-91). | |
| **4.1.1.2** | საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის საინფორმაციო კურსის „საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები" განხორციელება | • მონაწილე საოლქო კომისიების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ჩატარდა საინფორმაციო კურსი „საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები". აღნიშნული კურსი ჰიბრიდულ ფორმატში ორ ეტაპად მიმდინარეობდა: დისტანციური ტრენინგი (Zoom პლატფორმის გამოყენებით) და პრაქტიკული სწავლება ადგილზე. საინფორმაციო კურსის მიზანს წარმოადგენდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ეფექტიანობის ზრდა და მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობის ხელშეწყობა. სწავლების ცენტრის ტრენერებმა დისტანციურად გამართული საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებთან დეტალურად განიხილეს საოლქო საარჩევნო კომისიის მანდატს მიკუთვნებული შემდეგი საკითხები:<br>·არჩევნების ჩატარების საერთაშორისო სტანდარტები;<br>·კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენება და ზედამხედველობის მექანიზმის მნიშვნელობა ქვემდგომი საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაზე;<br>·კენჭისყრის შენობების მოწყობის, აპარატებით/ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფა;<br>·კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებთან კომუნიკაციის/კოორდინაციის ასპექტები;<br>·კენჭისყრის პროცესის წარმართვა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>·ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა;<br>·არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა;<br>·ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერა;<br>·კენჭისყრის პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვების პირობების უზრუნველყოფა;<br>·საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის წინასწარი შედეგების და შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა;<br>·საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი (მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმებისა და ხელახლა დათვლის საფუძვლები და წესი);<br>·საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირების წესი.<br>დისტანციურ ფორმატში საინფორმაციო შეხვედრის დასრულების შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში კომისიების წევრთა უშუალო ჩართულობით ჩატარდა საარჩევნო ელექტრონული აპარატების მუშაობის დემონსტრირება. მონაწილეებმა პრაქტიკაში განიხილეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის და წინასწარი შედეგების გადაცემისთვის განკუთვნილი პლანშეტის ფუნქციონალი.<br>·პროგრამაში მონაწილეობა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 788-მა წევრმა მიიღო, მათ შორის ქალი - 531, კაცი - 257. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4.1.1.3** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პროფესიული გადამზადების პროგრამის "საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები" განხორციელება | • გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br>• მონაწილე საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პროფესიული გადამზადების პროგრამა - "საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები". საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით, მომზადებულ პროფილურ სასწავლო პროგრამებს, ჰქონდა თემატურად ორი მიმართულება:<br>• პროგრამა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, რომლებიც კენჭისყრის პროცესს წარმართავენ საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენებით;<br>• პროგრამა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, რომლებიც კენჭისყრის პროცესს წარმართავენ საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების გარეშე.<br>სატრენინგო პროგრამის ფარგლებში საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები და წევრები დეტალურად გაეცნენ ამომრჩევლებისთვის კვალიფიციური სერვისის მისაწოდებლად შესაბამისი ფუნქციების შესრულების ტექნიკებს, მათ შორის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერის თემატიკას. საარჩევნო კომისიის საქმიანობის განხილვისას ყურადღება გამახვილდა საარჩევნო ადმინისტრატორების როლსა და პასუხისმგებლობაზე, რაც უკავშირდება თითოეული ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფას, პროცესზე დაკვირვების ხელმისაწვდომობას, ამომრჩევლის არჩევანის ფარულობის და პერსონალური მონაცემების დაცვას.საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა, თემატურად შედგენილი პროგრამების მიხედვით, სპეციალიზებული ცოდნა მიიღეს - საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შეჯამების ჩათვლით, ყველა პროცედურულ საკითხზე. ტრენინგები პრაქტიკული სწავლების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით განხორციელდა. მოიცავდა როლურ თამაშებს, ელექტრონულ აპარატებთან მუშაობის მოდელირებას და კენჭისყრის პროცესის ეპიზოდურ ინსცენირებებს. კომისიების წევრებმა ასევე მიიღეს დეტალური ინსტრუქტაჟი რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებისას ამომრჩევლებთან განსახორციელებელი კომუნიკაციის თაობაზე და ხმის მიცემის პროცედურებზე თანმიმდევრულად მისაცემი განმარტებების შესახებ.<br>ცესკომ და სწავლების ცენტრმა, არჩევნების ჩატარების პროცედურული სპეციფიკების გათვალისწინებით, პროფილურად მოამზადა სხვადასხვა სახის საინფორმაციო-სასწავლო რესურსი, რომელშიც დეტალურად ჩაიშალა საარჩევნო ადმინისტრატორების და საარჩევნო უბნებზე ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა, ეთიკის სტანდარტები და საქმიანობის განხორციელების პრაქტიკული ასპექტები. აღნიშნული ემსახურება კენჭისყრის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის ხელშეწყობას და ცნობიერების განმტკიცებას ამომრჩევლის ინტერესზე ორიენტირებით პროფესიონალური თანამშრომლობის მნიშვნელობის საკითხზე. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო და სამახსოვრო ინსტრუქციები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული).პროექტის მიზანია: საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა და კომისიის სხვა წევრთა პროფესიული ზრდის შესაძლებლობის ხელშეწყობა, სიახლეებთან ადაპტაცია და ასევე, კორპორატიული კულტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანია საუბნო საარჩევნო კომისიისთვის საქმიანობის კოლეგიალობასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებით განსახორციელებლად. სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 279-მა ტრენერმა, 64 მუნიციპალიტეტში, ჯამურად უზრუნველყო 6 433 სატრენინგო სესიის ჩატარება, მათ შორის:<br>• 4970 სატრენინგო სესია (ხუთი ეტაპი)- 2284 საუბნო საარჩევნო კომისიისთვის, რომლებიც კენჭისყრას ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარმართავენ;<br>• 1453 სატრენინგო სესია (ოთხი ეტაპი) - 767 საუბნო საარჩევნო კომისიისთვის, რომლებიც კენჭისყრას ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ჩაატარებენ;<br>• 10 სატრენინგო სესია (ერთი ეტაპი) - 10 პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის, რომლებიც კენჭისყრას ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ჩაატარებენ;<br>• ტრენინგებზე დასწრების საშუალო მაჩვენებელი იყო 90%-ი, ხოლო ტრენინგების ხარისხისა და სარგებლიანობის შეფასების მიზნით მონაწილეების მიერ მოწოდებული უკუკავშირიდან კმაყოფილების დონე აღემატებოდა 99%-ს. | |
| **4.1.1.4** | საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის სასწავლო პროექტის „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ განხორციელება | • გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br>• პროექტის ჩატარების მიხედვით მუნიციპალიტეტების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სამუშაო ჯგუფი | 2025<br>II-კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 13-29 მაისის პერიოდში, სასწავლო კურსი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით, პირისპირ ფორმატში განხორციელდა. მონაწილეები, ამომრჩევლის სერვისზე ორიენტირებით, დეტალურად გაეცნენ საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის პრაქტიკულ ასპექტებს, მათ შორის, სატრენინგო რეჟიმში განახორციელეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების და კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემების გადაცემისთვის განკუთვნილი პლანშეტური კომპიუტერების მართვა. ამასთან, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნების პროცედურული სპეციფიკის გათვალისწინებით, საარჩევნო ბიულეტენების დათვლის და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის პროცესის პრაქტიკაში ტრანსფორმაციის მიზნით, მონაწილეების უშუალო ჩართულობით ჩატარდა აღნიშნული პროცედურების მოდელირება.<br>პროექტის მიზანია: საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური საკადრო რესურსის გადამზადება, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კვალიფიციური საარჩევნო ადმინისტრატორების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.<br><br>* პროექტი საქართველოს მასშტაბით 64 მუნიციპალიტეტში ჩატარდა;<br>* სასწავლო პროექტი სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 231-მა (159 - ქალი; 71-კაცი) ტრენერმა განახორციელა;<br>* პროექტში მონაწილეობა მიიღო 10 079-მა მოქალაქემ (ქალი-8742; კაცი-1337). ბენეფიციართაგან სრული კურსის გავლის სერტიფიკატი გადაეცა 9 317 პირს (ქალი-8153; კაცი-1164). ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 1555 წარმომადგენელმა (ქალი-1405; კაცი-416). სრული კურსის გავლის სერტიფიკატი გადაეცა 1405 პირს (ქალი-1084; კაცი-321).<br>* მონაწილეებმა დისტანციური გამოკითხვის ფორმატში „Google forms” პროგრამა დადებითად შეაფასეს | |
| **ამოცანა 4.2** | | **საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **4.2.1.1** | საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება | • პროექტის განხორციელების მიხედვით მუნიციპალიტეტების რაოდენობა<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 2 – 3 ივნისის პერიოდში ჩატარდა სერტიფიცირების გამოცდები. საგამოცდო პროცესმა ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქე იღებს სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი - სავალდებულოა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და საოლქო საარჩევნო კომისიაში შესაბამის პოზიციებზე ასარჩევად/დასანიშნად. აღნიშნული სერტიფიკატი ასევე ვალიდურია საუბნო საარჩევნო კომისიაში ხელმძღვანელი პირის და წევრის პოზიციისთვის.<br>სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების მიზნით მოეწყო საგამოცდო ცენტრები, გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა და პროგრამულად/სისტემურად გაიმართა კომპიუტერული ტექნიკა, ჩატარდა საგამოცდო პროცესის ტესტირება. ვადების შესაბამისად განხორციელდა სერტიფიცირების მსურველთა რეგისტრაცია, როგორც ონლაინ ასევე, სამდივნოების მეშვეობით. სერტიფიცირების პროცესში უცვლელი ფორმით გამოყენებულ იქნა ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული საგამოცდო ტესტები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“. სერტიფიცირების გამოცდა წარიმართა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი. სერტიფიკატის მისაღებად საჭირო იყო 15 ქულის დაგროვება. სწავლების ცენტრმა, დაინტერესებულ პირებს, შესთავაზა იმიტირებული სერტიფიცირების საგამოცდო პროცესის სერვისი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“.<br> ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, 2025 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა გამოცდები ასევე ჩატარდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საგამოცდო ტესტების გამოყენებით.<br>პროექტის მიზანია: საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.<br>·საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 37 საგამოცდო ცენტრში: თბილისი (4 ლოკაცია), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი და ხულო.<br>·გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა- 640 (ქალი - 443; კაცი - 197);<br>·მონაწილეთა რაოდენობა - 456 (ქალი - 317; კაცი - 139);<br>·გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა - 381 (ქალი-273; კაცი-108). | |
| **4.2.1.2** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება | • პროექტის განხორციელების მიხედვით მუნიციპალიტეტების რაოდენობა<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 – 6 ივნისის პერიოდში განხორციელდა სერტიფიცირების გამოცდების ჩატარება საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის.  საგამოცდო პროცესმა ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქე იღებს სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატი - სავალდებულოა საუბნოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მდივნის პოზიციაზე ასარჩევად. აღნიშნული სერტიფიკატი ვალიდურია ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრის პოზიციისთვის (მოთხოვნა არ ვრცელდება პარტიების მიერ დასანიშნ კომისიის წევრებზე). სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად მოეწყო საგამოცდო ცენტრები, გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა და პროგრამულად/სისტემურად გაიმართა კომპიუტერული ტექნიკა, ჩატარდა საგამოცდო პროცესის ტესტირება. ვადების შესაბამისად განხორციელდა სერტიფიცირების მსურველთა რეგისტრაცია, როგორც ონლაინ ასევე, სამდივნოების მეშვეობით. სერტიფიცირების პროცესში უცვლელი ფორმით გამოყენებულ იქნა ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული საგამოცდო ტესტები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“. სერტიფიცირების გამოცდები წარიმართა ელექტრონულ ფორმატში. ტესტირებაში მონაწილე თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი. სერტიფიკატის მისაღებად საჭირო იყო 15 ქულის მოგროვება. სწავლების ცენტრის მიერ, დაინტერესებული პირებისთვის, შეთავაზებული იყო  იმიტირებული სერტიფიცირების გამოცდა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით,  საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა გამოცდები, ასევე ჩატარდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საგამოცდო ტესტების გამოყენებით.<br>პროექტის მიზანია: საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 37 საგამოცდო ცენტრში: თბილისი (4 ლოკაცია), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი და ხულო<br>·გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა- 2705 (ქალი - 2214; კაცი - 491);<br>·მონაწილეთა რაოდენობა - 2099 (ქალი - 1754; კაცი - 345);<br>·გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა - 2057 (ქალი-1713; კაცი-344). | |
| **4.2.1.3** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება | • პროექტის განხორციელების მიხედვით მუნიციპალიტეტების რაოდენობა<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სწავლების ცენტრმა  2025 წლის 9-13 ივლისის  პერიოდში უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება. საგამოცდო პროცესმა ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქე იღებს სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სერტიფიკატი - სავალდებულოა საუბნოს საარჩევნო კომისიის წევრის პოზიციაზე ასარჩევად (მოთხოვნა არ ვრცელდება პარტიების მიერ დასანიშნულ კომისიის წევრებზე).<br>სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად მოეწყო საგამოცდო ცენტრები, გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა და პროგრამულად/სისტემურად გაიმართა კომპიუტერული ტექნიკა, ჩატარდა საგამოცდო პროცესის ტესტირება. ვადების შესაბამისად განხორციელდა სერტიფიცირების მსურველთა რეგისტრაცია, როგორც ონლაინ ასევე, სამდივნოების მეშვეობით. სერტიფიცირების პროცესში უცვლელი ფორმით გამოყენებულ იქნა ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული საგამოცდო ტესტები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“. სერტიფიცირების გამოცდები წარიმართა ელექტრონულ ფორმატში. ტესტირებაში მონაწილე თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი. სერტიფიკატის მისაღებად საჭირო იყო 15 ქულის მოგროვება. სწავლების ცენტრის მიერ, დაინტერესებული პირებისთვის, შეთავაზებული იყო  იმიტირებული სერტიფიცირების გამოცდა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“.  ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიის  წევრთა გამოცდები ასევე ჩატარდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საგამოცდო ტესტების გამოყენებით.<br>პროექტის მიზანია: საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.<br>სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 37 საგამოცდო ცენტრში: თბილისი (4 ლოკაცია), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი და ხულო<br>• გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა- 2227 (ქალი - 1800; კაცი - 427)<br>• მონაწილეთა რაოდენობა -1618 (ქალი - 1363; კაცი - 255)<br>• გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა - 1603 (ქალი-1351; კაცი-252) | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4.2.1.4** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში | • პროექტის განხორციელების მიხედვით მუნიციპალიტეტების რაოდენობა<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სწავლების ცენტრმა 2025 წლის 4 – 13 ივნისის პერიოდში უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება. საგამოცდო პროცესმა ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქე იღებს სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატი - სავალდებულოა საუბნოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მდივნის პოზიციაზე ასარჩევად. აღნიშნული სერტიფიკატი ასევე ვალიდურია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის პოზიციისთვის (მოთხოვნა არ ვრცელდება პარტიების მიერ დასანიშნულ კომისიის წევრებზე). სერტიფიცირების პროცესში უცვლელი ფორმით გამოყენებულ იქნა ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული საგამოცდო ტესტები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“.<br>ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული). თარგმნილი ორენოვანი ტესტები (ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული) უცვლელი ფორმით იქნა გამოყენებული სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას.<br>პროექტის მიზანია: საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.<br><br>სერტიფიცირების გამოცდის ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 9 მუნიციპალიტეტში არსებულ საგამოცდო ცენტრებში : თელავი, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა<br>* გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა -592 (ქალი - 400; კაცი - 192);<br>*მონაწილეთა რაოდენობა - 415 (ქალი - 295; კაცი - 120)<br>* გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა - 413 (ქალი-293; კაცი-120) | |
| **4.2.1.5** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში | • პროექტის განხორციელების მიხედვით მუნიციპალიტეტების რაოდენობა<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2025<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სწავლების ცენტრმა 2025 წლის 9-13 ივლისის პერიოდში უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება. საგამოცდო პროცესმა ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქე იღებს სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სერტიფიკატი - სავალდებულოა საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრის პოზიციისთვის (მოთხოვნა არ ვრცელდება პარტიების მიერ დასანიშნ კომისიის წევრებზე). სერტიფიცირების პროცესში უცვლელი ფორმით გამოყენებულ იქნა ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული საგამოცდო ტესტები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ ბანერზე „სერტიფიცირების პლატფორმა“. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული). თარგმნილი ორენოვანი ტესტები (ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული) უცვლელი ფორმით იქნა გამოყენებული სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას.<br>პროექტის მიზანია: საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრინველსაყოფად.<br>სერტიფიცირების გამოცდის ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 9 მუნიციპალიტეტში არსებულ საგამოცდო ცენტრებში: თელავი, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა<br>* გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა -373 (ქალი - 229; კაცი - 144);<br>*მონაწილეთა რაოდენობა - 228 (ქალი - 155; კაცი - 73)<br>* გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა - 226 (ქალი-153; კაცი-73) | |
| **4.2.1.6** | საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სერტიფიცირების პროგრამის სომხურ და აზერბაიჯანულ ენოვანი ტესტების მომხმარებელთა აღრიცხვის შესაძლებლობის შექმნა | • სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე შევსებული ტესტების რაოდენობა | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი | 2025<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წელს, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა სერტიფიცირების ახალი პროგრამა. სისტემას დაემატა იმიტირებული გამოცდის მოდული, რომლის საშუალებით ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა, რეალური გამოცდის მსგავს გარემოში, ჩააბაროს იმიტირებული გამოცდა. 2025 წლის ივნისის თვეში საქართველოს მასშტაბით 37 ლოკაციაზე ჩატარდა სერტიფიცირების გამოცდა. პროგრამას დაემატა სომხურ და აზერბაიჯანულ ენოვანი ტესტების არჩევის შესაძლებლობა. სომხურ ენაზე ნათარგმნი ტესტების გამოყენებით სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარა 47-მა მოქალაქემ, ხოლო აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი ტესტების გამოყენებით სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარა ერთმა მოქალაქემ. სულ ჯამში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაბარებული ტესტების რაოდენობამ შეადგინა 48. | |
| **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **ტექნოლოგიური განვითარება** | | | | | | | |
| **მიზანი 5** | **საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან** | | | | | | | |
| **ამოცანა 5.1** | **საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია** | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **5.1.1.1** | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის ლოგისტიკური უზრუნველყოფის შეფასება/ანალიზი | ლოგისტიკური უზრუნველყოფის პროცესის ანგარიში წარმოდგენილია | საფინანსო დეპარტამენტი | 2025<br>III-IV<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელებული ლოგისტიკური პროცესის შეფასება/ანალიზის მიზნით ჩატარდა აღნიშნულ პროცესში ჩართული პირების, სსკ-ს საწყობებზე პასუხიმგებელი წევრების, თავმჯდომარეებისა და საწყობის მენეჯერების გამოკითხვა და ცენტრალურ დონეზე ლოგისტიკის პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ 2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობის შეფასება. ერთი მხრივ, 2025 წელს განხორციელებული საქმინობების ეფექტინობის შეფასებისა და მეორე მხრივ გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა ლოგისტიკის პროცესის ძლიერი მხარეები და ის მიმართულებები, რომლებიც შემდგომში საჭიროებენ გაუმჯობესებას. აღნიშნულზე დაყრდნობით კი შემუშავდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის პროცესის ანგარიში. | |
| **მიზანი 6** | **ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში** | | | | | | | |
| **ამოცანა 6.1** | **კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით** | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **6.1.1.1** | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოთა 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვა | ამომრჩეველთა არანაკლებ 90 პროცენტისთვის საარჩევნო უბნები ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატებით, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებით და პლანშეტებით აღჭურვილია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>III-IV<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის ელექტრონული საარჩევნო უბნები მოეწყო და აღიჭურვა საჭირო ელექტრონული მოწყობილობებით.<br>ელექტრონული საარჩევნო უბნების რაოდენობა შეადგენდა 2274 უბანს, ხოლო ტრადიციული წესით - 777 უბანს. ჯამში 3051 საარჩევნო უბანი აღიჭურვა საჭიროებისამებრ ელექტრონული მოწყობილობებით. | |
| **ამოცანა 6.2** | **ელექტრონული სერვისების განვითარება** | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **6.2.1.1** | საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული პროგრამის განახლება | • ტექნიკური დავალება მომზადებულია<br>• ელექტრონული მართვის სისტემა განახლებულია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>II-III<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის მოხდა დაგეგმილი საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული პროგრამის (EMS) განახლება. აღნიშნულის ფარგლებში EMS სისტემაში დასამატებელი ახალი მოდულებისთვის - "პარლამენტი/საკრებულო" და "პიროვნების დამატება" შეიქმნა ტექნიკური დავალება, შემდგომ ეტაპზე შეიქმნა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებდა საკრებულოს პარტიული სიის ქვემოდული, ასევე მერის ქვემოდული და საინიციატივო ჯგუფის ჩანართი. საკრებულოს პარტიული სია ელექტრონული პროგრამის საშუალებით წარადგინა 7-მა საარჩევნო სუბიექტმა. ამასთან, ელექტრონული პროგრამის საშუალებით წარადგინეს როგორც ადგილობრივი მაჟორიტარები, ასევე, მერობის კანდიდატებიც. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელექტრონული მართვის სისტემა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის განახლებული იყო. | |
| **6.2.1.2** | საარჩევნო უბნებიდან აქტივობის/შემაჯამებელი ოქმების გადმოგზავნის აპლიკაციის მოდიფიცირება | • ტექნიკური დავალება მომზადებულია<br>• პროგრამაში ცვლილებები შეტანილია და ტესტირებულია | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი | 2025<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში, საარჩევნო უბნებიდან აქტივობისა და შემაჯამებელი ოქმების გადმოგზავნის აპლიკაციის მოდიფიცირების ფარგლებში, მომზადებული ტექნიკური დავალების შესაბამისად განხორციელდა აუცილებელი ფუნქციური ცვლილებები, რომელთა მიზანი იყო პროცესში შესაძლო შეცდომების მინიმიზაცია და აპლიკაციის ფუნქციონალის გაუმჯობესება. 2025 წელს საარჩევნო უბნებიდან აქტივობისა და შემაჯამებელი ოქმების გადმოგზავნის აპლიკაციის მოდიფიცირებისთვის საჭირო ტექნიკური დავალების შესაბამისად ცვლილება შევიდა აპლიკაციის ფუნქციონალში, რითიც შესაძლებელი გახდება შეცდომის დაშვების რისკი შემცირება. აღნიშნული აპლიკაცია არჩევნებამდე სრულად გაიტესტა, ხოლო 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების დღეს აპლიკაცია მუშაობდა შეუფერხებლად და ხარვეზების გარეშე. | |
| **ამოცანა 6.3** | **ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა** | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | **მოკლე აღწერა** | **ფერი** |
| **6.3.1.1** | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შეფასება/ანალიზი | • სამუშაო შეხვედრები გამართულია სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საარჩევნო უბნებისთვის შენობების გამოყოფის შესახებ<br>• საარჩევნო უბნებისთვის გამოყოფილი შენობების რაოდენობა<br>• ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნების რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შეფასება/ანალიზის მიზნით შესაბამის უწყებებთან გაიგზავნა ოფიციალური წერილი საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურის გამოყოფასთან დაკავშირებით, შესაბამისად გაიმართა სამუშაო შეხვედრები სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან. არჩევნებისთვის შეიქმნა 3051 საარჩევნო უბანი, აქედან საბავშვო ბაგა-ბაღების შენობებში განთავსდა 512 საარჩევნო უბანი ხოლო, საჯარო სკოლებში- 1741 საარჩევნო უბანი. ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობა ჯამში შეადგენდა 1 301 საარჩევნო უბანს, საიდანაც, მარტივი ადაპტაციით იყო აღჭურვილი 342 საარჩევნო უბანი, ხოლო პანდუსით - 959 საარჩევნო უბანი. | |
| **6.3.1.2** | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურის განახლება | • საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურა განახლებულია<br>• განახლებული საარჩევნო უბნების რაოდენობა<br>• ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნების რაოდენობა<br>• ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა“ ინფორმაცია საარჩევნო უბნების, მათ შორის ადაპტირებული უნების შესახებ დასურათებულ ფორმატში განთავსებულია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2025<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის არჩევნებისთვის განხორციელდა საარჩევნო უბნების დეტალური შესწავლა. მოხდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან/უწყებებთან კომუნიკაცია, იმ საარჩევნო უბნების ფართების გამოყოფასთან დაკავშირებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ დადგენილ კრიტერიუმებს. საბოლოოდ, უბნების ინფრასტრუქტურა დეტალურად იქნა შესწავლილი და არჩევნებისთვის განახლებული. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა 3051 საარჩევნო უბანი, აქედან განახლებული ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნის რაოდენობა იყო 300 უბნამდე. აღნიშნულის ფარგლებში, ცესკოს ვებგვერდზე ბანერში "საარჩევნო რუკა" განთავსდა საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ადაპტირებული საარჩევნო უნების შესახებ დასურათებულ ფორმატში. | |

| № | სტატუსი | პროგრესის შესაბამისად | ფერი |
|---|---|---|---|
| 1 | არ დაწყებულა | 0 | |
| 2 | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 1%-50% | |
| 3 | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | 51%-99% | |
| 4 | განხორციელდა | 100% | |
| 5 | განხორციელდა დაგვიანებით | 100% | |
| 6 | გაუქმებულია | 0%-99% | |
| 7 | შეჩერებულია | 0%-99% | |